

სტუდენტების ბანკში
ვახიანსკო ბანკი
და მუხრანსკო
თელავის ბანკების ინსტიტუტი (TBI)



თელავის ბანკების ინსტიტუტი (TBI) შპს



© 2013 TDI. All rights reserved. TDI is a registered trademark of Tata Development Institute.

სტუდენტების განწყობა
უმცირესობებისადმი
და მედიის როლი

თელერანტობის
და მრავალფეროვნების ინსტიტუტი
(TDI)

თბილისი
2017



კვლევა გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

კვლევის ავტორი:

ქეთი სართანია

კვლევის ხელმძღვანელი:

ეკატერინე ჭითანავა

რედაქტორი:

პაატა შამუგია

დიზაინი:

ბესიკ დანელია

თარგმანი:

მარეხ შერვაშიძე

კორექტორი:

ლია შარვაშიძე

ISBN 978-9941-27-113-7

ტირაჟი: 300

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, TDI-ის წერილობითი თანხმობის გარეშე.

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

მისამართი: ი. გოგებაშვილის 42ბ, თბილისი, 0179, საქართველო

ვებგვერდი: www.tdi.ge

შესავალი	7
კვლევის ძირითადი მიგნებები	13
უმცირესობათა საკითხები	13
მედია	14
კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია	15
არაოფიციალური სტუდენტური ნარატივი უმცირესობების შესახებ	19
რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ზოგადი მიმოხილვა	19
მონაცემები	22
უცხო ენა	24
გენდერულად განსხვავებული განწყობები	24
დასაქმების გენდერული განზომილება და განწყობები	27
დასაქმების ეთნიკურ-რელიგიური განზომილება	32
ნაცნობობა	36
მიგრაცია	39
უმცირესობები	41
რელიგიური უმცირესობები	44
ეთნიკური უმცირესობები	46
ლგბტ თემი	49
ფიზიკური მახასიათებლებით დაჯგუფებული ადამიანები	54
ძირითადი განწყობები უმცირესობათა მიმართ	55
ქართველობა და რელიგიური იდენტობა	61

ძირითადი განწყობები	63
უმცირესობათა შესახებ წარმოებული ძირითადი საჯარო დისკურსები მედიაში	66
ტელევიზია	72
ბეჭდური მედია	74
ონლაინგამოცემები	74
საინფორმაციო ენის საკითხი	77
საჯარო სივრცე, როგორც ტოლერანტობის ჩარჩო და ზღვარი	79
პოსტსაბჭოთა სივრცის სპეციფიკა საქართველოს მაგალითზე	80
ჩაგრული უმრავლესობა და ჩაგრული უმცირესობა	82
დასკვნა	83
რეკომენდაციები	85
გამოყენებული ლიტერატურა	87

სოციალური უმცირესობის საკითხს სხვადასხვა დისციპლინა შეისწავლის. მისი მნიშვნელობა დროისა და ისტორიული მოცემულობის შესაბამისად იცვლება. ამიტომ ტერმინის არაერთი ვარიანტი არსებობს. სოციალურ მეცნიერებებში „უმცირესობა“ გულისხმობს არა მხოლოდ რაოდენობრივ მახასიათებელს, არამედ ისეთ ადამიანთა და ჯგუფთა მდგომარეობასაც, რომლებიც არ ეკუთვნიან მოცემული საზოგადოების რომელიმე ძალაუფლებრივ კატეგორიას ან საერთოდ არ ფლობენ რაიმე სახის საჯარო პოზიციებს.

სოციოლოგი ლუის უირტი (Louis Wirth; 1945) უმცირესობათა ჯგუფებს განმარტავს როგორც ადამიანთა ერთობას, რომლებიც გამოცალკევებული არიან დანარჩენი საზოგადოებისგან ფიზიკური თუ ქცევითი მახასიათებლების გამო, მათ ექცევიან განსხვავებულად და უთანასწოროდ, რის გამოც ისინი თავს გრძნობენ კოლექტიური დისკრიმინაციის მსხვერპლებად. უმცირესობათა ჯგუფის წევრობა აღწერილია მათი ფიზიკური ან ქცევითი მახასიათებლების მიხედვით. უმცირესობათა ჯგუფის წევრი, რომელიც ასახავს ან იმეორებს ჯგუფის ფიზიკურ ან ქცევით მახასიათებელს, მიეკუთვნება ამ ჯგუფის სტატუსს და ექვემდებარება ისეთსავე მოპყრობას, როგორსაც მთელი ჯგუფი. ანუ ჯგუფის შესახებ არსებული წარმოდგენა მიეწერება კონკრეტულ პირს და პირიქით – ერთი ადამიანის ქცევითი თავისებურებები ვრცელდება მთელ ჯგუფზე, რაც გავლენას ახდენს დანარჩენი წევრების აღქმაზე და მათ შორის ყალიბდება შესაბამისი ურთიერთობები.

ტერმინი „უმცირესობები“ სოციალურ მეცნიერებებში აღნიშნავს კულტურულად, ეთნიკურად, რასობრივად ან სხვა ნიშნით განსხვავებულ ადამიანთა ერთობას, რომლებიც დაქვემდებარებული არიან დომინანტურ ჯგუფს და ეს დაქვემდებარებულობა არის უმცირესობისთვის ე. წ. უმრავლესობისგან განმასხვავებელი ნიშანი. ამ მიზეზით ხშირად უმცირესობის სინონიმად – „დაქვემდებარებული“, ხოლო უმრავლესობის აღსანიშნავად „დომინანტური ჯგუფი“ გამოიყენება.

2009 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებების საკითხში ნავანეთემ ფილიმ (Navanethem Pillay²) განაცხადა, რომ „მსოფლიოს ყველა რეგიონში უმცირესობები განიცდიან საფრთხეებს, დისკრიმინაციას, რასიზმს და ისინი ვერ მონაწილეობენ თავიანთი ქვეყნისა და საზოგადოების უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში“. ამ განცხადებაში მინიშნებაა არა უმცირესობათა რაოდენობრივ მახასიათებლებზე, არამედ მათთვის რესურსებზე შეზღუდულ წვდომაზე.

ამდენად, ტერმინი „უმცირესობა“ არ ემთხვევა მოსახლეობის განმარტებას და ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია, უმცირესობის ჯგუფის წევრები რაოდენობრივად აჭარბებდნენ კიდევ დომინანტი ჯგუფის წევრების რიცხვს. ამის მაგალითად, მსოფლიოში ცნობილი შემთხვევებიდან, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის შემთხვევა მოჰყავთ, როდესაც შავკანიანი მოსახლეობის უმეტესობა დაქვემდებარებული იყო თეთრკანიან მოსახლეობას. ამის საპირისპიროდ, სოციალური უმრავლესობა არის ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მინიჭებული აქვს ძალაუფლება კონკრეტულ დროსა და ადგილას, და ისინი ხანდახან რაოდენობრივ უმრავლესობასაც წარმოადგენენ.

¹ მასალა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.britannica.com/topic/minority>, ბოლო ნახვა: [15.06.2017].

² მასალა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.un.org/en/events/humanrightsdays/2009/hc_statement.shtml, ბოლო ნახვა: [15.06.2017].

შარლ ვაგლისა და მარვინ ჰარის (Charles Wagley and Marvin Harris³; 1958) მიხედვით⁴, სოციალური უმცირესობები ხასიათდებიან ხუთი ძირითადი ნიშნის მიხედვით: 1. უთანასწორო მოპყრობა და საკუთარი სიცოცხლის განკარგვის ნაკლები შესაძლებლობა; 2. განმასხვავებელი ფიზიკური ან კულტურული მახასიათებლები, როგორცაა კანის ფერი ან სასაუბრო ენა; 3. ნების გარეშე ჯგუფის წევრობა; 4. დაქვემდებარება და 5. ჯგუფს შიგნით ქორწინების მაღალი მაჩვენებელი.

სოციალური ჯგუფები, რომლებიც კულტურული ან ფიზიკური მახასიათებლების გამო გამოყოფილი არიან დომინანტური ჯგუფებისგან და მოწყვეტილი არიან სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობას, ან სოციალური ცხოვრების სასარგებლო მხარეების გამოყენებას, შეიძლება ჩაითვალოს უმცირესობად. ნებისმიერი სოციალური ჯგუფის ძალაუფლება, სოციალური სტატუსი, ადგილი საზოგადოებაში და როლი დამოკიდებულია სოციალური სისტემის სტრუქტურასა და მის შიგნით არსებული სოციალური მობილობის ხარისხზე. კერძოდ, უმცირესობათა ჯგუფის წევრის სოციალური მობილობის ხარისხი დამოკიდებულია საზოგადოების ღიაობაზე ან დახურულობაზე. დახურული საზოგადოება, რომელშიც ინდივიდის როლი თეორიულადაც კი უცვლელია და ადამიანი დაბადებიდან გარდაცვალებამდე მიეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ სოციალურ წრეს, სტატუსს და ვერასდროს შეიცვლის მას, ხოლო ღია საზოგადოება, რომელშიც ინდივიდის როლი და სტატუსი, შესაძლოა, შეიცვალოს მისი შესაძლებლობების, მიზნებისა და არჩევნის შესაბამისად. დახურული საზოგადოებისგან განსხვავებით, რომელიც ხაზს უსვამს იერარქიულ თანამშრომლობას ჯგუფებს შორის, ღია საზოგადოების იდეა მდგომ-

³ მასალა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.scielo.br/pdf/bgoeldi/v9n3/10.pdf>, ბოლო ნახვა: [15.06.2017].

⁴ მასალა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://cnx.org/contents/Zb0wZRUJ@3/Racial_Ethnic_and_Minority_Gro, ბოლო ნახვა: [15.06.2017].

მარეობს რესურსების ხელმისაწვდომობასა და გაზიარებაში, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური თუ სხვა სახის მიკუთვნებულობის მიუხედავად. შესაბამისად, ღია საზოგადოება უმთავრესად აქცენტს აკეთებს ინდივიდსა და რესურსების ხელმისაწვდომობაზე, ხოლო დახურული ტიპის საზოგადოება ორიენტირებულია ჯგუფსა და კოლექტიურ მიზნებზე.

უმცირესობათა ჯგუფებთან დაკავშირებით ერთიანი სამეცნიერო ტერმინის შემუშავება შეუძლებელია და თავად ტერმინი „სოციალური უმცირესობები“ საკამათოა მისი ფართოდ გავრცელებული რაოდენობრივი მნიშვნელობის გამო. ლიტერატურაში ალტერნატიულ ტერმინად იყენებენ „ისტორიულად გარიყულ ჯგუფებს“⁵ (Historically Excluded Groups – HEG). ტერმინი მოიაზრებს იმ ადამიანთა ერთობას, რომლებიც დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში ჩამოშორებული არიან სოციალური უფლებებით, პრივილეგიებითა და შესაძლებლობებით სარგებლობას იმ საზოგადოებასა თუ ორგანიზაციაში, რომელშიც არსებობენ.

სოციალური უმცირესობები შეიძლება გაქრნენ ასიმილაციის გზით, როდესაც ისინი თავიანთ ტრადიციებს მთლიანად ჩაანაცვლებენ დომინანტი კულტურის ტრადიციებით. თუმცა, სრული ასიმილაცია ძალიან იშვიათია. ყველაზე გავრცელებული მეთოდია კულტურული ასიმილაცია, როდესაც ორი ან მეტი ჯგუფი ერთმანეთში გაცვლის კულტურულ მახასიათებლებს. საზოგადოება, რომელშიც შიდა ჯგუფები ქმნიან კულტურული ასიმილაციის პრაქტიკას, ამკვიდრებენ ახალ სოციალურ ნორმებს, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ინტეგრირებულობას, უსაფრთხო და ტოლერანტული თანაცხოვრების შესაძლებლობას.

ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ეთნიკურ, გენდერულ, ლინგვისტურ, სექსუალურ (ლგბტ თემი) და სხვა სახის უმცი-

⁵ მასალა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://diversityofficermagazine.com/cultural_competence/diversitypedia/heg/, ბოლო ნახვა: [15.06.2017].

რესობათა კატეგორიებს, პოლიტიკურ თუ სხვა მიზეზთა გამო, ადამიანებმა კონკრეტული ღირებულებები მიანიჭეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი განსაზღვრა არსებული სოციალური მიმართებების გასაგებად.

რასის, ეთნიკურობის, გენდერისა თუ სხვა სექსუალური (ღვთისმშობელი) უმცირესობის ცნების განმარტება სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან ეს საკითხები ისტორიის, გეოგრაფიის, პოლიტიკური წყობისა და კულტურის ცვალებადობასთან ერთად იცვლება. ტერმინები არაერთი დისციპლინის შესწავლის საგანია და შესაბამისად, ყველა საზოგადოებისთვის ერთიანი კონკრეტული განმარტების მოყვანა მათი მნიშვნელობის კომპლექსურობის გამო უამრავ უზუსტობას წარმოშობს.

წინამდებარე კვლევა ორიენტირებული იყო შემდეგ ძირითად უმცირესობათა კატეგორიებზე:

ეთნიკური მიკუთვნებულობა განისაზღვრება, როგორც გაზიარებული კულტურული მემკვიდრეობა: რელიგია, ენა, კულტურა, ტრადიციები, რომლებიც აერთიანებს ადამიანებს. რასობრივი და ეთნიკური საკითხები ხშირად გადაფარავს ერთმანეთს და სინონიმებადაც გამოიყენება, თუმცა მათ შორის მთავარ სხვაობად ფიზიკურ მახასიათებლებს გამოყოფენ, რომლებითაც ადამიანებს რასობრივი ნიშნით გამოარჩევენ, ხოლო ეთნიკური საკითხი უფრო კულტურული მახასიათებლების ერთობლიობაა.

რასა – კონკრეტულ ადამიანთა კონკრეტული ჯგუფებისთვის სოციალურად მნიშვნელოვანი კატეგორია. განმარტება გეოგრაფიის, კულტურისა და დროის შესაბამისად იცვლება. წარსულში რასობრივი საკითხი უფრო მეტად რეგიონულ-ტერიტორიულ განაწილებას ან განსხვავებულ ფიზიკურ მახასიათებლებს უკავშირდებოდა.

რასობრივი დანაწილება არ არის ბუნებრივი მახასიათებელი, ის სოციალური კონსტრუქციაა და ამიტომ რასობრივ საკითხს ხშირად „აბსტრაქტულ კონცეფციასაც“ უწოდებენ ანთროპოლოგები⁶. შესაბამისად, წინამდებარე კვლევაში „რასა“ და/ან „რასობრივი ჯგუფი“ როგორც ანალიტიკური კატეგორია არ არის გამოყენებული.

რელიგიური უმცირესობა – საზოგადოებაში ან კულტურაში ფართოდ გავრცელებული რელიგიისგან განსხვავებული რელიგიური იდენტობის ან პრაქტიკის მიმდევრები.

ლგბტ თემი (სექსუალური უმცირესობა) – ადამიანთა ჯგუფი, რომელთა სექსუალური იდენტობა, ორიენტაცია ან სექსუალური პრაქტიკა განსხვავდება კულტურაში ფართოდ მიღებული სექსუალური იდენტობისგან.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს ექვს ქალაქში არსებული უნივერსიტეტების სტუდენტთა განწყობების გამოვლენას, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ლგბტ თემისა (სექსუალური უმცირესობების) და რასობრივი ნიშნით დახასიათებული ადამიანების მიმართ არსებული ტოლერანტობის ფორმების გამოკვეთას. კვლევა ფოკუსირებულია და ინტერესდება უმცირესობათა საკითხებით სტუდენტების სოციალური გარემოს, სოციალიზაციის შესაძლებლობების, საინფორმაციო არხებისა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. კვლევის ანგარიშში წარმოდგენილია უმცირესობების საკითხებზე არაფორმალური სტუდენტური ნარატივი.

⁶ რასისა და რასიზმის ენციკლოპედია, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://webpages.uncc.edu/~jmarks/pubs/Enc%20race%20Sci%20Racism%20Hist.pdf>.

კვლევის ძირითადი მიზნები

უმცირესობათა საკითხები

- წინამდებარე კვლევის ფარგლებში, გამოვლინდა ტოლერანტობისა და უცხოის მიმღებლობის რამდენიმე ფორმა, რომელთა უმრავლესობა არასწორი ან არასაკმარისი ინფორმაციისა და შესაბამისი განათლების წყაროების არარსებობის/უქონლობისგან გამომდინარეობს.
- რელიგიური იდენტობა დომინირებს სხვა სახის იდენტობებზე, რაც, სავარაუდოდ, აიხსნება საბჭოთა კავშირში რეპრესირებული რელიგიური გამოხატვითა და მოგვიანებით საქართველოს საპატრიარქოს სოციალური როლისა და ძალაუფლების ზრდით.
- უმცირესობათა და უცხო ჯგუფთა მიმღებლობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, რაც გამოიხატება ადამიანის უფლებების, მოდერნულობის დისკურსსა და ქართული ტრადიციული შეხედულებების დიქოტომიაში.
- უმცირესობათა ჯგუფებისადმი ტოლერანტობა იერარქიულია, რაც ზოგიერთი რელიგიური ჯგუფისადმი უფრო მეტად ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენს. ეს, შესაძლოა, განპირობებულია მათ შესახებ არაზუსტი, გადაუმოწმებელი ინფორმაციით, ასევე საქართველოს საპატრიარქოს განცხადებებსა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ქადაგებებში ქსენოფობიური, ანტიდასავლური და უმცირესობების მიმართ დამაკნინებელი რიტორიკის სიჭარბით.

მედია

- რელიგიური უმცირესობების საკითხების გაშუქება დანაშაულს, კონფლიქტს ან ტერორისტულ აქტებს უკავშირდება.
- ლგბტ თემის (სექსუალური უმცირესობების) შესახებ საკითხები მედიაში აქტიურდება საკანონმდებლო ინიციატივებთან, არჩევნებსა და 17 მაისთან დაკავშირებით.
- კრიმინალის ან დანაშაულის გაშუქებისას მედიის წარმომადგენლები ეჭვმიტანილის ეთნიკურ და რელიგიურ მიკუთვნებულობას უსვამენ ხაზს, მაშინ, როცა ამის საჭიროება შეიძლება არ არსებობდეს.
- მედიას ხშირად არა აქვს საკმარისი და ადეკვატური ინფორმაცია სხვადასხვა რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა ჯგუფების შესახებ, რაც შესაძლო დისკრიმინაციული გაშუქების რისკებს ზრდის.
- უმცირესობათა საკითხები ზოგჯერ მიეწერება კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ან ჯგუფს, გამოიყენება პოლიტიკური მანიპულაციისთვის და ხელს უწყობს საზოგადოებაში უმცირესობებისადმი ნეგატიური განწყობების გავრცელებას.
- რელიგიური უმცირესობების საკითხი შუქდება უმეტესად კონფლიქტის შემთხვევაში.
- ქსენოფობიური და სიძულვილის ენა უმცირესობებს უკავშირდება მათი სოციალური, პოლიტიკური ან კულტურული აქტივობის შემთხვევაში.
- უმცირესობათა საკითხებზე მედია ხშირად კომენტარს სთხოვს იმ რესპონდენტებს, რომლებიც მკვეთრად გამოხატული სიძულვილის ენით გამოირჩევიან უმცირესობათა მიმართ.

მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გავლენა ადამიანთა ცხოვრების წესზე, მათ რწმენა-წარმოდგენებსა და შეხედულებებზე დიდია. კომუნიკაციის საშუალებები სწრაფად ვითარდება და შესაბამისად, სწრაფად ხდება მედიის შესახებ კვლევების დაძველება, თუმცა არსებობს შეხედულება⁷, რომ მედია გავლენას ახდენს იმ ადამიანებზეც კი, რომლებიც არ ფლობენ წერისა და კითხვის უნარებს. ქართულ კონტექსტში, ახალგაზრდები, მათ შორის, სტუდენტები, საგანმანათლებლო თუ საინფორმაციო მიზნებით ყველაზე აქტიურად მოიხმარენ საკომუნიკაციო საშუალებებსა და ინტერნეტს⁸.

წინამდებარე კვლევა ორ მიზანს ისახავდა: პირველი იყო ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების, სხვა ქვეყნის მოქალაქეებისა და ლგბტ თემისადმი (სექსუალური უმცირესობები) საქართველოს ექვსი ქალაქის უნივერსიტეტის სტუდენტებში არსებული განწყობების გამოკვეთა, ხოლო მეორე მიზანი იყო მედიაში უმცირესობების მიმართ არსებული ზოგადი დისკურსისა და სტუდენტების განწყობებზე მედიის გავლენის მიმოხილვა ხელმისაწვდომი მონაცემების გამოყენებით.

⁷ წყარო ხელმისაწვდომია: Measuring values for cross-cultural research_Robbert Maseland ; André van Hoorn.

⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკითხვა, 2015; მასალა ხელმისაწვდომია: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/health/Qali%20da%20kaci_2015.pdf.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია: ფოკუს-ჯგუფის (ჯგუფური დისკუსიის), სიღრმისეული ინტერვიუსა და კაბინეტური კვლევის მეთოდი. ამ მეთოდის საფუძველზე გამოიკითხა ორი ძირითადი ჯგუფი: კონკრეტული ქალაქების უნივერსიტეტების სტუდენტები და მედიაექსპერტები.

კვლევის პირველად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სტუდენტები კვლევისთვის წინასწარ შერჩეული ქალაქების უნივერსიტეტებიდან, ხოლო მეორად ჯგუფში მედიაექსპერტები მოექცნენ.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მიმოხილულია მედიისა და უმცირესობების შესახებ ქართულ კონტექსტში არსებული ხელმისაწვდომი კვლევები.

კვლევა მიმდინარეობდა 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის აპრილის ჩათვლით საქართველოს ექვსი ქალაქის უმაღლეს სახელმწიფო სასწავლებლებში: თელავი, გორი, ახალციხე, ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი.

უმცირესობათა მიმართ განწყობები სტუდენტებში:

- შედგა 12 ჯგუფური დისკუსია-ინტერვიუ საქართველოს ექვსი ქალაქის ექვს უნივერსიტეტში;
- ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუები გენდერული ნიშნით იყო დაყოფილი;
- წინასწარ შედგა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი;
- თითოეულ ჯგუფში რვა მონაწილე იყო;
- დისკუსიის საშუალო ხანგრძლივობა: 1.5-2 საათი;
- რესპონდენტების ასაკი: 18-26 წელი;
- ფოკუს-ჯგუფების დისკუსიების ჩატარების ვადა: 2016 წლის ნოემბერი-2017 წლის აპრილი.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 ჯგუფური დისკუსია (ფოკუს-ჯგუფი) თითო უნივერსიტეტში 2. დისკუსიები იყო გენდერული ნიშნით

დაყოფილი, შესაბამისად, თითო ქალაქში 2 ჯგუფური დისკუსიიდან ერთი გოგონებთან ჩატარდა და ერთი – ბიჭებთან.

ქალაქი	მამრობითი	მდედრობითი	სულ
თელავი	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	2 ჯგუფი (16 მონაწილე)
გორი	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	2 ჯგუფი (16 მონაწილე)
ახალციხე	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	2 ჯგუფი (16 მონაწილე)
ქუთაისი	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	2 ჯგუფი (16 მონაწილე)
გუგუთი	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	2 ჯგუფი (16 მონაწილე)
ბათუმი	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	1 ჯგუფი (8 მონაწილე)	2 ჯგუფი (16 მონაწილე)
სულ	6 ჯგუფი (48 მონაწილე)	6 ჯგუფი (48 მონაწილე)	12 ჯგუფი (96 მონაწილე)

უმცირესობათა მიმართ მედიაში წარმომადგენელი დისკურსის მიმოხილვა

- ჩატარდა 5 სიღრმისეული ინტერვიუ მედიაექსპერტებთან⁹, რომლებიც აქტიურად უწევენ მონიტორინგს მედიასა და უმცირესობათა საკითხების გაშუქებას;
- ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა 1-1.5 საათი;
- წინასწარ შედგენილი ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი;

⁹ მედიის განვითარების ფონდი; საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა _ საქართველო“; საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი; მედიის დამოუკიდებელი მკვლევარი.

- უმცირესობათა გაშუქების შესახებ ქართულ კონტექსტში შესრულებული ხელმისაწვდომი კვლევების მიმოხილვა.

კვლევის შეზღუდვები

წინამდებარე კვლევა კონკრეტული უმცირესობების მიმართ კონკრეტულ ქალაქებში არსებულ უნივერსიტეტებში სტუდენტური განწყობების ზოგადი მიმოხილვაა და არ ითვალისწინებს მიღებული შედეგების განზოგადებას.

კვლევა არ ითვალისწინებს ყველა შესაძლო უმცირესობის შესახებ რესპონდენტების მოსაზრებების მიმოხილვას და ორიენტირებულია „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ (TDI) საქმიანობის სფეროებზე.

კვლევის მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქალაქების მიხედვით მონაცემები უნიკალურია, არ წარმოადგენს შედარებით კატეგორიებს საკითხების განსხვავებული აქტუალურობის გამო, რასაც ემატება გამოკითხულ რესპონდენტთა ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური თუ სხვა ნიშნით შერეული ჯგუფებისგან მიღებული მონაცემების განსხვავებული აქცენტები.

ანაოფიციალური სტატისტიკური ნაჩაბივი უმცირესობის უმსახეობა

რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების გოგადი მიმოხილვა

საქართველოს ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა ცვალებადი მოცემულობა და ისტორიულ და პოლიტიკურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. 1989 წლიდან დღემდე საქართველოს ეთნიკურ-რელიგიური კომპოზიცია მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. 1989 წლის აღწერის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობაში ეთნიკურ უმცირესობათა რიცხვი 30%-ს შეადგენდა, ხოლო 2002 წლის მონაცემების მიხედვით, ეთნიკურ უმცირესობათა მაჩვენებელი 16% იყო, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაცემების გამოკლებით¹⁰. ბოლო, 2014 წლის მონაცემების¹¹ მიხედვით, მოსახლეობის 86.8%-ს ქართველები შეადგენენ, ხოლო 12.1%-ს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები (1.1% უარი პასუხზე/ეროვნება მითითებული არ არის).

ეთნიკურ ქართველთა და ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობის ცვლილების ტენდენცია აქტიურად გრძელდება 1991 წლიდან. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება, ასევე, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გამოწვეული ცვლილებე-

¹⁰ აღწერის მონაცემები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.diversity.ge/geo/resources.php?coi=0%7C13%7C13>, ბოლო ნახვა: [26.06.2017].

¹¹ აღწერის მონაცემები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf, ბოლო ნახვა: [29.06.2017].

ბი, ახალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ რელსებზე გადასვლა იყო ის ხელშემწყობი ფაქტორები, რამაც გაზარდა გარე მიგრაციის მაჩვენებელი და ამან ხელი შეუწყო ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობის შემცირებასაც. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკოსების ნარატივი პატრიოტულ და ნაციონალისტურ სენტიმენტებზე იყო აგებული და იმ პერიოდში პოპულარული გამოთქმა „საქართველო ქართველებისთვის“ მნიშვნელოვნად ასახავს ეთნიკურ და მათ შორის, რელიგიურ უმცირესობათა მიმართ არსებულ განწყობებს. 1992 წელს ხელისუფლებაში ახალი ძალა მოვიდა ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, რომლის რიტორიკა წინამორბედისგან განსხვავებული იყო, თუმცა, გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა გახდა მიგრაციული განწყობების ზრდის მიზეზი, ამჯერად უკვე ეთნიკურად ქართველ მოსახლეობაშიც. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიგრაციული მიმართულება, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, დღემდე რუსეთის ფედერაციაა, სავარაუდოდ, ლინგვისტური და გეოგრაფიული სიახლოვის გამო. ეთნიკურ და სამოქალაქო იდენტიფიკაციას შორის მყოფმა პოლიტიკურმა მიდგომებმა წარმოშვა სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ეთნიკური, ნაციონალისტური, რელიგიური, გენდერული იდენტობები, რომლებსაც გავლენა აქვთ, მათ შორის, უმცირესობათა ჯგუფების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

მე-19 საუკუნეში გაძლიერებული და მე-20 საუკუნეში გაგრძელებული ეთნიკური მიგრაცია საქართველოში მემობელი ქვეყნების შიდა-პოლიტიკურ და საომარ მდგომარეობას უკავშირდება. ამ პერიოდში საქართველოში ბევრი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი პოულობს თავშესაფარს და უმეტესობა აქვე მკვიდრდება საცხოვრებლად. მოგვიანებით, ასეთი ტიპის თანაცხოვრება წარმოშობს კულტურულად მრავალფეროვან გარემოს, რაც გამოიხატება ყოველდღიური ცხოვრების ისეთი რიტუალების მრავალფეროვნებაში, როგორცაა სამეურნეო ყოფა და ეკონომიკური კავშირების თავისებურებები, დაკრძალვისა

და რელიგიური რიტუალების შერევა ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკასთან.

საქართველო ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან ქვეყნად მიიჩნევა, რასაც მოსახლეობის კომპოზიციის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემი მოწმობს. 2014 წლის აღწერის მონაცემების¹² მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 86.8% ქართველია, 6.3% – აზერბაიჯანელი, ხოლო 4.5% ეთნიკურად სომეხი მოქალაქეები არიან, დანარჩენს ეთნიკურად რუსები – 0.7%, ოსები – 0.4%, იეზიდები – 0.3%, უკრაინელები – 0.2%, ქისტები – 0.2%, ბერძნები – 0.1%, ასირიელები – 0.1% (სხვა _ 0.4%) შეადგენენ. ეს ფაქტი ისტორიულ მოცემულობად მიიჩნევა და აქედან გამომდინარეობს გავრცელებული შეხედულება, რომ „ქართველი ერი ტოლერანტი ერია“, ვინაიდან მის ტერიტორიაზე ოდითგანვე თანაცხოვრობენ განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები.

საქართველოს რელიგიური კომპოზიციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხშირად სირთულეს წარმოადგენს, თუმცა ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2014 წლის საყოველთაო აღწერაში აღმსარებლობის შესახებ, საქართველოს მოსახლეობის 83.4% მართლმადიდებელია, 10.7% – მუსლიმი, 2.9% – სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი. დანარჩენ მაჩვენებლებს ინაწილებენ¹³: კათოლიკე ეკლესია, იეჰოვას მოწმეები, იეზიდური, პროტესტანტული და იუდაური თემები. ოფიციალურ მონაცემებში იგუ-

¹² 2014 წლის აღწერის მონაცემები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf, ბოლო ნახვა: [26.06.2017].

¹³ სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ ინფორმაცია იხილეთ „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ კვლევაში „რელიგიურ გაერთიანებათა საჭიროებების კვლევა საქართველოში“, თბილისი, 2014, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://tdi.ge/sites/default/files/religiuri_gaertianebebis_sachirobebis_kvleva_sakartveloshi_0.pdf, ბოლო ნახვა: [26.06.2017].

ლისხმებიან ის ადამიანებიც, რომლებიც თავს არც ერთ რელიგიას არ მიაკუთვნებენ.

პოპულარულ ენაში კი იმ შეხედულებების დასადასტურებლად, რომ საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა, ხშირად მოჰყავთ დავით აღმაშენებლის მაგალითი, რომლის მიხედვით, ის მეჩეთშიც ლოცულობდა და ქრისტიანულ სალოცავშიც. გარდა ამისა, ქართველთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ტოლერანტობის მაგალითია ასევე თბილისში სხვადასხვა რელიგიის სარიტუალო ნაგებობების გვერდგვერდ თანაარსებობა. ამ შეხედულებებს ლიტერატურასა თუ მუსიკაში სხვადასხვა დროს არაერთი ნაწარმოები მიუძღვნეს მწერლებმა, პოეტებმა და მუსიკოსებმა, იქმნებოდა ხალხური ლექსებიც. წარსულში არსებული ამგვარი მაგალითების მიუხედავად, დღეს ხშირად ვხვდებით რელიგიურ თუ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც ხან სამართლებრივი დავის და ხან საზოგადოებრივი ღელვის, უკმაყოფილებისა და ხშირად დაპირისპირების საგანია.

წინამდებარე კვლევაში სიფრთხილით არის წარმოდგენილი ამ საკითხების სტუდენტურ ჯგუფებთან მიმოხილვა, მათი განწყობების, შეხედულებების გამოკითხვა და ერთიანი ანალიზი. სტუდენტური ნარატივები უმცირესობათა შესახებ რთულად გასაანალიზებელია და ხშირად წინააღმდეგობრივიც, რაც ორგვარ დისკურსში ვლინდება: ერთი მხრივ, ეს არის განათლებისა და მოდერნულობის დისკურსი, რაც ადამიანის უფლებათა ნარატივს ეხმიანება, და, მეორე მხრივ, ტრადიციულ-კონსერვატიული შეხედულებების სუსტი არტიკულირება ქართულ ენაში შემორჩენილი მყარი სტერეოტიპებისა და იდიომების სახით.

მონაცემები

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიები ჩატარდა საქართველოს ექვსი ქალაქის უნივერსიტეტებში: თელავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი. კვლევის საგანი იყო კონკრეტული უმცირესობების მიმართ

სტუდენტებში არსებული განწყობებისა და დამოკიდებულებების გამორკვევა. ჯგუფები ყველა ქალაქში გენდერული ნიშნით იყო დაყოფილი და ცალ-ცალკე ჩატარდა გოგონებსა და ბიჭებთან. მსგავსი დაყოფა მიზნად ისახავდა ქალთა ნარატივის გამოკვეთას – იყო მოლოდინი, რომ დისკუსიების დროს შერეულ ჯგუფებში გოგონები ნაკლებად შეძლებდნენ არტიკულაციას, მაშინ, როცა ქალთა პერსპექტივიდან დანახული უმცირესობათა საკითხების შედარება მამაკაცების მიერ შემოთავაზებულ ნარატივთან მსგავსებებისა და განსხვავებების დანახვის შესაძლებლობას მოგვცემდა. თითოეულ დისკუსიაში 8 მონაწილე იყო და ისინი შემთხვევითი პრინციპით შეირჩნენ, ფაკულტეტის, კურსის, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა სახის მიკუთვნებულობის წინასწარი განსაზღვრის გარეშე. ჯამში, ჩატარდა 12 დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდა 96 სტუდენტი. დისკუსიები, საშუალოდ, 1.5-2 საათს გრძელდებოდა.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიების დროს რესპონდენტების მიერ საკუთარი სოციალური გარემოს აღწერა იძლეოდა ინფორმაციას მათ საზოგადოებაში მყოფ უმცირესობათა ჯგუფების შესახებ. უმცირესობათა ჯგუფების სახელდება პრობლემური აღმოჩნდა დისკუსიების განმავლობაში. რესპონდენტები ეთნიკურ უმცირესობებზე საუბრისას ხშირად რელიგიურ ჯგუფებს გულისხმობდნენ და, პირიქით, რელიგიურ უმცირესობებზე საუბრისას სხვა ქვეყნის მოქალაქეებსა და მათთან დაკავშირებულ მაგალითებს იხსენებდნენ. ასევე, ეთნიკური და რელიგიური ნარატივი ერთმანეთისგან თითქმის არ იყო განცალკევებული. რეგიონების მიხედვით რელიგიური, ეთნიკური და ეროვნული დისკურსი ერთმანეთს ენაცვლებოდა, როგორც რომელიმე იდენტობის ძირითადი განმსაზღვრელი იდეოლოგია: კერძოდ, ეთნიკურობა განისაზღვრება რელიგიით, რელიგია ნაცით, ნაცია სექსუალური იდენტობით და ა.შ. წინამდებარე კვლევის ფარგლებში უმცირესობათა საკითხები არ განხილულა განყენებულად ფილოსოფიურ ან ისტორიულ კატეგორიაში და მათი მიმოხილვა მიმდინარეობდა კვლევაში მონაწილე სტუ-

დენტების თანამედროვე, სოციალური ცხოვრების, ყოველდღიური ყოფის ისეთ კონტექსტებში, როგორც არის განათლება, დასაქმება, მათი საზოგადოების ეთნიკური, რელიგიური ინტეგრაცია და სოციალიზაცია. საკითხები სხვადასხვაგვარ აქტუალურობას იძენდა რეგიონების მიხედვით. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, კონკრეტული ქალაქის სტუდენტები თავიანთი რეგიონის სპეციფიკურ მახასიათებლებზე აკეთებდნენ აქცენტს, ასევე განსხვავდებოდა გოგონებისა და ბიჭების მიდგომა უმცირესობათა ჯგუფებისა თუ ტოლერანტობის აღქმასთან დაკავშირებით.

უცხო ენა

უცხო ენის შესწავლის საკითხი ახალგაზრდების საინფორმაციო ველის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობა სწავლობს ინგლისურს და ასევე, პოპულარული ენაა რუსული. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ამ ორი ენის ცოდნას ახალგაზრდების დასაქმებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ახალგაზრდების თქმით, უფროსი თაობა რუსული ენის ცოდნის/გაგების გამო იყენებს რუსულ საინფორმაციო წყაროებს, რის გამოც მათაც უწევთ რუსულენოვანი საინფორმაციო გამოშვებების მოსმენა და ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ კვლევაში მონაწილე ზოგიერთ რეგიონში ქართულენოვანი საინფორმაციო არხები არ მაუწყებლობს სპეციალური მოწყობილობის, ე. წ. სატელიტური თეფშის გარეშე.

გენდერულად განსხვავებული განწყობები

ბიჭების დისკუსიებში დომინირებდა „ჩვენ უფრო დაჩაგრული ვართ“ განწყობა. „ჩვენ“, ამ შემთხვევაში, გულისხმობდა ქართველ, მართლმადიდებელ საქართველოს მოქალაქეს, რომლის „დაჩაგ-

რულობა“ ეკონომიკური სიდუხჭირითა და პოტენციური „სხვის“ არსებობაში, შესაბამისად, საფრთხეში გამოიხატება, ხოლო „უფრო“ დანაგრულობა იმ იერარქიაზე მიუთითებს, რაც მოცემულ საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს დომინანტ ჯგუფებსა და სხვადასხვა უმცირესობას შორის. გოგონების დისკუსიები, ბიჭებთან შედარებით, გამოირჩეოდა უფრო საკუთარ თავზე ორიენტირებით, რაშიც იგულისხმებოდა განათლებისა და დასაქმებისკენ, როგორც წარმატებისა და დამოუკიდებლობისკენ მიდრეკილება. გოგონების დისკუსიებში ასევე ჩანდა ლოიალურობა უმცირესობათა ჯგუფების მიმართ, თუმცა, ნაციონალისტურ-რელიგიური განწყობები მათ საუბრებშიც აქტიურად ვლინდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ჯგუფი უფრო ლოიალურია განსხვავებულთა მიმართ, ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულება – „ქართველი ერი ტრადიციულად ტოლერანტულია“ და „ტოლერანტობა საფრთხეა“ – კვლევის ფარგლებში ჩატარებული ყველა დისკუსიის ძირითადი შინაარსია, საიდანაც სტუდენტები გამოსავალს განსხვავებული ჯგუფებისათვის ისეთი ლიმიტების დაწესებაში პოულობდნენ, როგორც არის საჯარო სივრცით (ან სხვა სარგებლით) შეზღუდული ან განსაკუთრებული წესებით სარგებლობა. კვლევის ფარგლებში სტუდენტების მიერ გამოყენებული ნარატივი კრიტიკულია სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ, რაც გამოხატულებას პოვებს უთანასწორობის აღქმასა და რესურსებზე დაბალ ხელმისაწვდომობაში.

სტუდენტების მიერ დისკუსიებში გამოვლენილი განწყობებისა და მათი შეხედულებების მიხედვით შეიძლება გამოიყოს ტოლერანტობის, უცხო, განსხვავებულის მიმღებლობისა და ასევე, მიუღებლობის რამდენიმე ფორმა, რომლებისთვისაც წინამდებარე კვლევაში პირობითი სახელები შეირჩა:

მიმღებლობა:

1. ნაცნობი „უცხოაღმი“ ტოლერანტობა, მხოლოდ იმიტომ, რომ ნაცნობია და არა იმიტომ, რომ მისი არსებობა არის მისაღები („ჩემი მეგობარი გეი“, „ჩემი ნათესავი იეჰოვას მოწმე“...).

2. უცხო მიმღებლობა, როგორც ქართული ტრადიცია („სტუმართ-
მოყვარეობა ქართული ტრადიციაა“, „ქართველი ერი ოდითგანვე
შემწყნარებელი იყო უცხო მიმართ“).
3. უცხო მიმღებლობა, როგორც ევროპული/მოდერნული მიდგომა
და ცივილიზაციური ნიშანი („ევროპაშიც ასეა“, „თუ ევროკავშირში
გვინდა, მაშინ...“).
4. საჯარო სივრცე, როგორც ტოლერანტობის ჩარჩო („იყვნენ, მაგ-
რამ ყველაფერს აქვს საზღვარი...“).

მიუღებლობა:

1. უცხო მიუღებლობა მისი არცოდნის გამო („არ ვიცი, არ მსმენია
არაფერი“).
2. უცხო მიუღებლობა მისი არცნობის გამო („მე არა მაქვს მაგათ-
თან შეხება“).
3. უცხო მიუღებლობა, როგორც კოლექტიური საფრთხისგან თავ-
დაცვა („ეგრე გადავშენდებით ქართველები...“).
4. უცხო მიუღებლობა, როგორც ტრადიციისადმი ერთგულება („ქარ-
თულ ტრადიციაში ეს არ არის მიღებული...“).

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი უცხო, განსხვავებულის მიღებისა და მიუღებლობის ფორმები წინააღმდეგობრივია და ურთიერთგამომრიცხავი. მაშინ, როცა სტუმართმოყვარეობა ქართულ ტრადიციად მიიჩნევა და ნებისმიერი სტუმარი მისაღებია, მათ შორის, რელიგიური მოტივით („სტუმარი ღვთისაა“). ამავ არგუმენტით უგულებელყოფილია უცხო და განსხვავებული („მართლმადიდებლობა კრძალავს ამას...“). უცხო მისაღებია იმდენად, რამდენადაც ის არ წარმოადგენს საფრთხეს დომინანტი იდენტობებისათვის, არ ითხოვს დამკვიდრებას საჯარო სივრცეებში ან სოციალურ პოზიციებზე, არ ცდილობს ეკონომიკური ძალაუფლების მოპოვებას, არ ცდილობს საკუთარი თავის აფიშირებასა და თვითგამორკვევას. იკვეთება შე-

ხედულება, რომ ქართველი სტუმართმოყვარე ერი ლოიალურია უცხო (არაქართველის, არამართლმადიდებლის) მიმართ, რადგან სტუმარია, თუმცა, თუ უცხო სტუმარი აღარ არის და ის რიგით, თანასწორუფლებიან მოქალაქედ ქცევას ცდილობს, შესაძლოა, გახდეს საფრთხის მატარებელი ქართული იდენტობისათვის და შესაბამისად, მიუღებელი, არატოლერანტული დამოკიდებულების ადრესატი.

დასაქმების გენდერული განზომილება და განწყობები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში, ყველა ქალაქში, სტუდენტები მთავარ პრობლემებზე საუბრისას უმუშევრობას ან დასაქმების ადგილზე სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციაზე ირიბად საუბრობენ. მათ შორის, ვლინდება გენდერული ნიშნით განპირობებული ნეგატიური განწყობები, რაც სპეციფიკური ფორმით აისახება შრომით ურთიერთობებში.

კვლევის მონაცემების მიხედვით, დასაქმების პოპულარულ ადგილებად სტუდენტები გოგონებისთვის სუპერმარკეტებში კონსულტანტობას, კაფე-რესტორნებში მიმტანობას ან ბანკში მუშაობას ასახელებდნენ, ბიჭებისთვის კი დისტრიბუცია, დაცვის პოლიცია, საკონტრაქტო სამხედრო სამსახური და სემონურად თურქეთსა და გერმანიაშია პოპულარული მუშაობა, კერძოდ, ქარხნებში, თხილის პლანტაციებსა ან რესტორნებში. საზღვარგარეთ დროებით ან მუდმივ სამუშაოზე დასაქმების ტენდენცია გოგონებშიც გამოიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების ნაწილი იმედოვნებს თავისი პროფესიით დასაქმებას, ისინი ცდილობენ ყველა შესაძლო სამუშაო ადგილის ათვისებას სწავლის საფასურის გადახდისა და მატერიალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. რესპონდენტების საუბრის მიხედვით, დამსაქმებლები ხშირად ითხოვენ რამდენიმეწლიან სამუშაო გამოცდილებას, მათ შორის, სტუდენტებისგან. გარდა ამისა, გოგონების გამოცდილება შრომით და საგანმანათლებლო საქმიანობასთან

დაკავშირებით განსხვავებულია ბიჭებისგან და უმაღლესში სწავლის გაგრძელება ან პროფესიასთან შეუსაბამო ვაკანსიის დაკავება მათთვის დაოჯახების/გათხოვების ალტერნატივა ან სოციალიზაციის ხანდახან ერთადერთი საშუალებაა. სტუდენტები ასევე, აღნიშნავდნენ, რომ უფროსი თაობის ადამიანები, რომლებმაც საქართველოში მუდმივი სამსახური ვერ იშოვეს, საზღვარგარეთ წავიდნენ – მამაკაცები ფიზიკურ მუშახელად და ქალები საშინაო შრომაში არიან უმეტესად ჩართული, მათი გზავნილები კი ოჯახების ძირითად შემოსავალს წარმოადგენს:

„ყოველ მეორე ოჯახში სამუშაოდაა ქალი წასული თურქეთში“.

„[სამუშაოდ] ძირითადად, წასულები არიან საზღვარგარეთ. ქალები განსაკუთრებით“.

„ახალგაზრდა ბიჭებიც წასულები არიან. ძირითადად, ქარხნებში მუშაობენ“.

„ჩემი კურსელების 80% ემზადება გერმანულში. ყველა წავიდა, გოგოებიც და ბიჭებიც, იყო რაღაც ნაკადი წასული და კმაყოფილები ჩამოვიდნენ, ფული ჩამოიტანეს, მანქანები ჩამოიყვანეს“.

„ჩემი აზრით, ემიგრაცია პირველ ადგილზეა შემოსავლის თვალსაზრისით, ეს ყველაზე გავრცელებული გზაა – წავიდნენ საქართველოდან და უცხოეთიდან ფული გამოგზავნონ. ჩემი ოჯახის გადასახედიდან ვამბობ ამას“.

შრომითი მიგრაცია კვლევაში მონაწილე ყველა ქალაქის შემთხვევაში აქტუალური იყო და გამოიკვეთა, როგორც დასაქმების პოპულარული ალტერნატივა. სტუდენტები სუბიექტური გამოცდილების

(მათი სამეგობრო წრეებისა და ოჯახების) მაგალითებზე განაზოგადებენ მიგრაციის სხვადასხვა ფორმასა და საშუალებას. ისინი განასხვავებენ ასაკისა და სქესის მიხედვით მიგრაციის ფორმებს, რითაც გამოიკვეთება ერთგვარი სქემა – უმაღლესი განათლების მიღების შეწყვეტა ფინანსური პრობლემების გამო და საზღვარგარეთ შრომით მიგრაციაში წასვლა ან სტუდენტების მშობლების შრომითი მიგრაცია, მათი შვილებისთვის განათლების ხარჯების დაფარვის მოტივით. კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები ცხადყოფს, რომ რესპონდენტების უმეტესობისთვის საზღვარგარეთ წასვლა შრომით მიგრაციასთან ასოცირდება, ხოლო „იქ შრომა“ „მონობასთან“, რამაც შეიძლება გააძლიეროს ახალგაზრდების ნეგატიური აღქმები და დამოკიდებულებები უცხო ქვეყნებთან, მათ მოქალაქეებსა და უცხოთა მიმღებლობასთან დაკავშირებით:

„აქ ძლიერი სოფლებია, დიდი მიწები, სოფლის მეურნეობაც, ასე თუ ისე, განვითარებულია. მესაქონლეობაა, კარტოფილი ბევრია. ხალხი აღარ მიდის იქ ვიღაცის მონად და ცდილობს, აქ აკეთოს რაღაც, რაც მუდმივად მოუტანს შემოსავალს“.

„ეგ მუშაობაც არაა, მონობაა, 12-14 საათი მუშაობენ დღეში. სეზონური სამუშაოა ძირითადად“.

„მარა არის სამუშაოები, რომლებზეც სულ მუშაობენ _ გამწვანება, ჰინსებში... მარა იქ ანაზღაურება არაა იმდენი, რამდენსაც თურქს უხდიან. ძაან დაბალია“.

კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემები, რომლებიც ქვეყნის გარეთ შრომით მიგრაციას უკავშირდება, აჩვენებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისადმი დაქვემდებარებულის თვითაღქმას, რაც, შესაძლოა, აძლიერებს სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფებისადმი

ნეგატიურ განწყობებს, ამ შემთხვევაში ეთნიკურად არაქართველებსა და მათ, და გამოხატულებას პოვეს შრომით ურთიერთობებშიც. შრომით მიგრაციაში წასული საქართველოს მოქალაქეების დასაქმებისთვის პოპულარული ადგილებია ოჯახებისთვის საშინაო შრომაში დახმარება – ქალებისთვის, მამაკაცებისთვის კი მშენებლობებზე, ქარხნებსა და პლანტაციებში ფიზიკური შრომა, რადგან ასეთ პოზიციებზე დასაქმებას არ სჭირდება რაიმე კვალიფიკაცია ან სპეციალიზაცია.

სტუდენტი გოგონების ცალკეულ ნარატივში, რომელიც დასაქმებას ეხებოდა, გამოიკვეთა პოზიტიური დისკრიმინაციის ფორმა, როდესაც გოგონებისთვის უფრო ადვილია დასაქმება მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში კონსულტანტებად და ზოგადად, მომსახურების სფეროში მათი გარეგნული მახასიათებლებისა და ქცევითი თავისებურებების გამო, რაც გამოიხატება მდებარეობით სქესის ხასიათისთვის მიწერილ მორჩილებაში, სისუფთავის სიყვარულში, ღიმილისა და შენიშვნების უფრო მეტად ატანაში, განსხვავებით ბიჭებისგან. ამ მოსაზრებას ამყარებს ბიჭების ფოკუს-ჯგუფში გამოთქმული მოსაზრებები დასაქმების გენდერულ განზომილებასთან დაკავშირებით:

„გოგონები უფრო ლამაზები არიან. გააჩნია სამუშაოს. კონსულტანტად ორივე იმუშავენ, ბიჭიც და გოგოც. გოგონებს უფრო მიმტანებად იყვანენ, კონსულტანტებადაც“.

„გოგოს თუ სამსახურის დაწყება უნდა გორში, ან ბანკში მუშაობს, ან მაღაზიაში კონსულტანტად“.

„გოგონები უფრო დასაქმებულები არიან თავიანთი გენდერული მდგომარეობის და გარეგნობის გამო. მაგალითად, პრომო-გოგოები. კაცები, ძირითადად, მშენებლობაზე მუშაობენ“.

„მაღაზიაში ან სადმე, სადაც მივალთ, ყველგან ამბობენ, ბიჭის-
თვის ვაკანსია არ არისო“.

„მეც რომ მქონდეს მაღაზია, ავიყვან ვინმე კარგ გოგოს“.

„უცხოელებს თუ აქვთ აქ კომპანიები, გოგოებს დასაქმებაში
უფრო მეტ პრიორიტეტს ანიჭებენ, თუნდაც მაღაზიებში. ვიღაც
ამბობს, რომ გარეგნობას აქვს მნიშვნელობა. რატომ არ შეიძ-
ლება, მაღაზიის გამყიდველი იყოს ბიჭი? ძირითადად, უნდათ,
რომ იყოს გოგო და არ ჰყავდეს შვილი“.

„გოგოს რომ შენიშვნა მისცეს, ჩვენი ქართველი ბიჭები ნაკლე-
ბად ითმენენ შენიშვნებს“.

ამგვარი აღქმები და დამოკიდებულებები გოგონებთან დაკავში-
რებით აჩვენებს, რომ ქალებისთვის მინიმალური ანაზღაურებისა და
არახელსაყრელი შრომითი პირობების შეთავაზება მეტის მოთხოვ-
ნის სანაცვლოდ ნორმაა მათი სქესისა და სქესთან მიწერილი მახასი-
ათებლების გამო, რასაც აძლიერებს ქალის როლის, მისი მორჩილი,
სათნო, დამყოლი ბუნების შესახებ არსებული ტრადიციული შეხედუ-
ლებანი. ამგვარი დისკრიმინაციული დამოკიდებულება განიმარტება
ქართული ტრადიციითა და ქალის ამგვარი როლისადმი საზოგა-
დოებრივი კეთილგანწყობით.

ამის საპირისპიროდ, ბიჭების დასაქმების შემთხვევაში პრობლე-
მურ საკითხად გამოიკვეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურის
თემა, რომლისგანაც თავის არიდებად „სავალდებულო უმაღლეს გა-
ნათლებას“ იყენებენ ან თანხმდებიან საკონტრაქტო სამხედრო სამ-
სახურს მატერიალური შემოსავლისა და სავალდებულო სამხედრო
სამსახურის გამო. 2017 წელს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის

(NDI) მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში სამხედრო კარიერის არჩევის შესახებ შეკითხვის პასუხად 88% ეთანხმება, რომ ადამიანები სამხედრო კარიერას სტაბილური შემოსავლის გამო ირჩევენ, ხოლო 77%-ს მიაჩნია, რომ სხვა ალტერნატივა არა აქვს.

კვლევის ფარგლებში სტუდენტების მიერ წარმოდგენილი შეხედულებები ეკონომიკურ პირობებთან, შემოსავლებსა და შრომით გარემოსთან დაკავშირებით, აჩვენებს იმ შესაძლებლობებსა თუ შეზღუდვებს, რაც მათთვის, შესაძლოა, ქმნის დაბრკოლებებს განვითარებისა და სოციალიზაციის გზაზე და რაც წარმოადგენს სხვადასხვა კულტურული თუ სოციალური გარემოების შექმნის წინა პირობას. მშობლების უმუშევრობა, სწავლის მაღალი გადასახადი და სამუშაო გამოცდილების მიღება სამომავლო დასაქმების პერსპექტივისთვის სტუდენტებს იძულებულს ხდის, დაიწყონ მუშაობა ადრეულ ასაკში, თუმცა, სამუშაოთა უმეტესობა სრულ განაკვეთს მოიცავს, რაც სტუდენტებს არჩევნის წინაშე აყენებს – ან ლექციებზე სიარული, ან მუშაობა. გარემოება, რის გამოც სტუდენტები მუშაობას იწყებენ, სწავლის გაგრძელებაა, მაგრამ სწორედ დასაქმების არახელსაყრელი პირობების გამო ისინი სწავლას ვერ აგრძელებენ. ამას თან ერთვის გენდერული ასპექტი, რაც გამოიხატება ქალების მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომაში, კერძოდ, გარეგნობასა და ქალთა ბუნებისათვის მიწერილი მორჩილი ხასიათის წახალისებაში.

დასაქმების ეთნიკურ-რელიგიური განზომილება

სტუდენტების ნარატივი დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით, ძირითადად, უმუშევრობასა და დაბალ ანაზღაურებას, ან მძიმე შრომით პირობებს აღწერს. უმუშევრობასა და დაბალ ანაზღაურებას ისინი ქვეყნის პრობლემად მიიჩნევენ, ხოლო მძიმე შრომით პირობებს ნაკლებად უსვამენ ხაზს ქართველი დამსაქმებლის პირობებში. თუმცა, ეთნიკურად ან რელიგიურად განსხვავებული დამსაქმებლის

შემთხვევაში, მათი იდენტობის ამ კონკრეტულ კატეგორიებს უსვამენ ხაზს, როგორც პრობლემის წყაროს. დასაქმების საკითხების ეთნიკურ-რელიგიურ განზომილებებზე საუბრისას გამოიკვეთა ის ძირითადი ჯგუფები, რომლებსაც სტუდენტები ახსენებდნენ დისკუსიების დროს:

„ჩვენ გვიჭირს დასაქმება საკუთარ ქვეყანაში და უცხოელები უფრო მარტივად საქმდებიან“.

„ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დისკრიმინირებულები ჩვენ ვართ“.

დასაქმების, უმუშევრობის, შრომით უფლებებზე საუბრისას სტუდენტები ნეგატიური განწყობებით გამოირჩევიან არაქართული წარმოშობის მქონე პირების ან საქართველოს მოქალაქეების მიმართ. მათ შორის, განსაკუთრებით ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავენ ჩინელებისა და თურქებისადმი. ჩინელი დამსაქმებლების თემა უკავშირდება მათი მალაზიების ქსელებსა და ხარაგაულის რაიონში, სოფელ ზვარეში, რკინიგზის გვირაბის მშენებლობაზე მომხდარ შემთხვევას¹⁴, სადაც გამოიკვეთა მძიმე შრომითი პირობები და ამ ნიადაგზე თავი იჩინა ნაციონალური მიკუთვნებულობის საკითხმა ნეგატიურ კონტექსტში:

„...რაც სამუშაო ადგილებია, ჩინელები იკავებენ ამ ადგილებს“.

„ესენი ჩვენთან რომ ჩამოდიან, იმდენად კარგად არიან აქ, რომ მეტ გავლენასაც იქონიებენ ხოლმე ჩვენზე“.

¹⁴ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://netgazeti.ge/news/134003/>, ბოლო ნახვა: [26.06.2017].

„ჩინელი ჩამოვიდა და აქ გახსნა თავისი ბიზნესი, ხოლო ჩვენები რომ ჩადიან სხვა ქვეყნებში, ისეთ დღეში ჰყავთ, რომ არ ვიცი...“

თურქი დამსაქმებლებისა და ზოგადად, თურქებისადმი განსაკუთრებული ნეგატიური დამოკიდებულება აჭარაში გამოვლინდა, რასაც სტუდენტები ხსნიან მათი ეკონომიკური შეძლებულობითა და სახელმწიფოს მხრიდან უცხოელების ბიზნესის მიმართ ნაკლები რეგულაციებით (უმეტესად თურქებს გულისხმობენ). სტუდენტების ამგვარ ნარატივში ვლინდება ეკონომიკური ძალაუფლებისადმი ნეგატიური განწყობა, სადაც ისინი, რაოდენობრივად უმრავლესობაში მყოფი ეთნიკური ქართველები, ეკონომიკურად დაქვემდებარებული არიან მატერიალური შეძლების მქონე, თუმცა, არაქართველ დამსაქმებლებზე:

„მე მინდა სამსახურის პოვნა და ქართველი ბიზნესმენების ხომ არიან, მაგრამ თურქი რო გახსნის მაღაზიას და გეტყვის, არ მინდა თურქული, მე მაინც დაგაწყებინებ მუშაობას, მოეწონე ლამაზ კონსულტანტად და არ მიდიხარ იმ ქართველთან, იმიტომ, რომ იმას არ უნდა შენი დასაქმება“.

„მე მიმუშავია კონსულტანტად და თურქი უფროსიც მყავდა და ქართველიც. თურქი უფროსი ხშირად უფრო ლმობიერი იყო, ვიდრე ქართველი. ის არ არის, რომ თურქია და აუცილებლად ცუდია, უბრალოდ ხანდახან თურქების მხრიდან ქართველებზე არის დამცინავი გამოხედვა და საუბარი. ეს არ მომწონს“.

„იმდენი ჩამოდის და აბანდებს აქ თავის მომავალს და იმდენი ქმნის თავის შთამომავლობას, მომავალს აჭარაში, რომ შესაძლოა ძალიან ბევრი რაღაც ხდება, ჩვენ რომ გვძინავს“.

„ქუთაისის ქუჩაზე საერთოდ არ დავდივარ. სულ თურქები არიან და მალიზიანებს. მალიზიანებს, რომ მოდებულები არიან, როგორც ჩინელები და ისინი. ქართველებზე მეტი ქუჩაში რომ თურქები და ჩინელები შეგხვდებიან, ეს გამალიზიანებელია“.

თურქებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების აღწერისას რესპონდენტები, არაქართული წარმომავლობისა და კაპიტალის ქონის გარდა, ასევე აღნიშნავენ რელიგიურ განსხვავებას, როგორც დამსაქმებლის მხრიდან შრომითი გარემოს დამამძიმებელ გარემოებას. აჭარის რეგიონში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების დისკუსიები აჩვენებს იმ მიმართებას, როდესაც ეთნიკურად და რელიგიურად რაოდენობრივ უმრავლესობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეები ეკონომიკურ დაქვემდებარებაში გრძნობენ თავს არაქართველ და რელიგიურად განსხვავებულ მცხოვრებთან და ამგვარ მდგომარეობას „უცხოთა გაბატონების საფრთხედ“ აღიქვამენ, ამ მდგომარეობას კი რესპონდენტების უმეტესობა ხელისუფლების პოლიტიკას უკავშირებს.

„ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ (TDI) მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის „რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვა სასკოლო სახელმძღვანელოებში“¹⁵ მიხედვით, სახელმძღვანელოები შედგენილია კონკრეტული რელიგიური და ეთნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. კვლევის ფარგლებში მიმოხილულ იქნა ისტორიის, სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები. კვლევის მიხედვით, სასკოლო წიგნებში წარმოჩენილია კონკრეტული დომინანტი რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის უპირატესობა და სასწავლო მასალაც მათზეა გათვლილი, ხოლო სხვა რელიგიები მტრულ ძალად

¹⁵ კვლევა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.tdi.ge/sites/default/files/saxelmzgvaneloebis_analizi_tdi_2016.pdf, ბოლო ნახვა: [26.06.2017].

არის ნაჩვენები, ისტორიისა და ქართული ენის სახელმძღვანელოებში გამოყენებულ ქსენოფობიურ ტექსტებს კი არ ახლავს ავტორთა განმარტებები.

კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზნებას წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელოებში არასაკმარისი ან არაკვალიფიციური ინფორმაცია რელიგიური თუ ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ, ხოლო ზოგიერთი რელიგიური ტექსტი თუ საეკლესიო გადმოცემა არაკადემიური, რელიგიისგან არადისტანცირებული ენით არის მოთხრობილი, რაც მცდარი რწმენა-წარმოდგენებისა და ზოგიერთი ჯგუფის მიმართ ნეგატიური განწყობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს ახალგაზრდებში, ეს კი გავლენას ახდენს მათი ცხოვრების შემდეგ ეტაპზე.

ნაცნობობა

დასაქმების საკითხების განხილვისას, კვლევაში მონაწილე ქალაქებში, სტუდენტების ნარატივი ეხება სოციალური კაპიტალის მნიშვნელობასა და გავლენას ყოველდღიურ ცხოვრებაზე. კერძოდ, შრომით ურთიერთობებზე, რაც გამოიხატება „შინაურის“, „ნაცნობის“, „შენიანის“ ყოლაში სხვადასხვა სივრცეში, რაც ავტომატურად დაწინაურებულს გხდის მათთან შედარებით, რომელთაც არ ჰყავთ ნაცნობი/შინაური. სტუდენტების მოსაზრებით, თუ შესაძლებლობა არსებობს, ლოგიკური და მოსალოდნელია, დაასაქმო და ხელი შეუწყო ნაცნობს, ვიდრე სხვას, უცხო ადამიანს. ამგვარი დამოკიდებულება სოციალური კაპიტალის მნიშვნელობაზე მიუთითებს, რაც სხვადასხვა ჯგუფის ჩაკეტილობასა და ნაკლებმომღებლობას შეიძლება გამოხატავდეს. ამგვარი დიფერენციაცია არ არის ახალი მოვლენა და არ ახასიათებს მხოლოდ ქართულ რეალობას, თუმცა პირდაპირ კავშირშია სოციალური სტრატეფიკაციის, სოციალური მობილობის, ინტეგრაციისა და სამოგადოებრივი სოლიდარობის, ერთიანობის საკითხთან.

გამოიკვეთა ნაცნობობის რამდენიმე ფორმა: 1. პირდაპირი ნაცნობობა – როდესაც ნაცნობი პირდაპირ გაგიმართავს ხელს: მოგაწყობს, დაგასაქმებს „თავისიანის“ მოძლიერების მოტივაციით, 2. ირიბი ნაცნობობა – როდესაც ნაცნობი თავად არ გეხმარება, რადგან მიიჩნევს, რომ, შესაძლოა, არა ხარ კვალიფიციური, თუმცა, სხვასთან გიწვევს რეკომენდაციას, იმ მოტივით, რომ ისევ თავის სანაცნობოში არ დაკარგოს სოციალური სასურველობა და არ გაჰკიცხონ, 3. ნაცნობის დასაქმება მისი ექსპლუატაციის ხარჯზე:

„...ნაცნობობის საკითხი... მე ხულოდან ვარ და სადაც სამუშაო ადგილი თავისუფლდება, ყველგან ნაცნობობით ინიშნება. ბათუმში შედარებით სხვანაირადაა, აქ უფრო შეიძლება რაღაცის მიღწევა. ენის პრობლემაც არის. უფრო რუსული, ინგლისური და ბათუმში თურქულიც სჭირდებათ“.

„ჩემი ახლობელი რომ არის, ის მინდა, რომ პროფესიულად ჩამოვყავალიბო, რასაც ქვია ადამიანად და ეხლა, სხვის შვილს რატო მივიყვან და რატო დავსვამ ჩემს ადგილას“.

„როცა საახლობლო წრიდან აჰყავთ და ენდობიან, აქვთ რეკომენდაცია, უფრო მეტს ითხოვენ და აი, ჩაციკლულები არიან, რომ შენ მეტი მოგეთხოვება“.

„თავის საქმეში კი, თავის საქმეში შეიძლება არ დაგასაქმოს, მაგრამ სხვასთან შეიძლება ისეთი რეკომენდაცია გაგიწიოს (ორ ხმაში), იმ სხვამ აგიყვანოს. მერე ის ველარ გაგიშვებს ხათრით“.

ისინი, რომლებიც ნაცნობობასთან დაკავშირებით ამ შეხედულებებს არ იზიარებენ, პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციას ანიჭებ-

ბენ უპირატესობას, რასაც დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე „ადამიანურს“ უწოდებს: „ეგ ადამიანური შეხედულებაა, რომ ვიღაცა შეგიყვარდება. პირველ რიგში, ადამიანი თავის თავს აყენებს უპირატესად და მაგიტოა ეგ ნაცნობობა. მსოფლიოში რომ ავიღოთ, ზოგადად ასეა. ყველგან ასეა“. მაგრამ ფაქტობრივ მდგომარეობაზე საუბრისას აცხადებენ, რომ ნაცნობობა მნიშვნელოვანია სამუშაოს დასაწყებად, რაც გამოწვეულია არა ნდობის ფაქტორით, არამედ ნაცნობისთვის ხელის გამართვისა და „შენიანის“ დაწინაურების, მისი უკეთ ყოფნის მოტივით.

კვლევის ფარგლებში „ადამიანური“ ხშირად ეწოდა უცნობის, უცხოის დასაქმების, მისთვის ხელის გამართვის შესაძლო შემთხვევას, ხოლო ნაცნობის დასაქმებასა და მისთვის „ხელის გამართვას“ ქართული ტრადიცია. სტუდენტები ასევე საუბრობენ „ნაცნობებთან“ საქმის დაჭერის ნეგატიურ ასპექტებზე და თუ მანამდე ხელის გამართვაზე, ნდობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, უცხო ადამიანთან საქმიანი ურთიერთობის დაჭერას მათი ნაწილი პოზიტიურად აფასებს:

„თუ გინდა, რომ იყო წარმატებული შენს საქმეში, გააკეთე უცხოებთან“.

ამგვარად, სტუდენტების ნარატივიდან წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებები და გამოცდილებები ვლინდება „ჩემიანი-სხვისიანი“ დიქტომიის აღწერისას დასაქმების სივრცეში. ერთი მხრივ, „ჩემიანის“ დასაქმება მნიშვნელოვანი ვალდებულებაა იმ წრის წინაშე, რომელსაც ეკუთვნის ადამიანი და კოლექტივისტური, ჯგუფური ღირებულებებით არის ნაკარნახევი, სადაც მთავარ კრიტერიუმს ახლობლობა წარმოადგენს, ხოლო მეორე შემთხვევა სრულიად საპირისპიროა, როდესაც საქმიან ურთიერთობებში წამყვან როლს ნაცნობობა არ წარმოადგენს, რადგან უცხოსთან მოლაპარაკება და რაციონალური ქცევა უფრო მარტივია და ურთიერთობის გაწყვეტის

შემთხვევაში არ ითვალისწინებს ზედმეტ სოციალურ წნეხს. შესაბამისად, გადაწყვეტილებაც უფრო მეტად ინდივიდუალისტური მოტივაციით მიიღება. როგორც სტუდენტების დისკუსიებიდან ჩანს, ორივე შემთხვევა გავრცელებულია, თუმცა, სოციალურად მიღებული, მოწონებული და კულტურაში გამართლებული ნაცნობისთვის ხელის გამართვა, კოლექტიური ქცევა და ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებაა.

მიგრაცია

საქართველოში მიგრაციის მაღალი მაჩვენებლებით ურბანული ტიპის დასახლებები ხასიათდება. კვლევის მიხედვით გამოკვეთილი ტენდენციებიც იმეორებს ამ მახასიათებელს და ქალაქების მიხედვით მნიშვნელოვანი თავისებურებები ქუთაისისა და გორის შემთხვევაში ვლინდება. ახალგაზრდების შრომითი მიგრაციის პოპულარულ მიმართულებად თურქეთი და გერმანია გამოიკვეთა. ბათუმის შემთხვევაში, საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით, უფრო მეტი სამუშაო ადგილია, რადგან ტურისტულ ქალაქად მიიჩნევა მისი შავ ზღვასთან სიახლოვის გამო, თუმცა, ბათუმში სხვა სპეციფიკური საკითხები იჩენს თავს. აჭარაში ჩატარებული ჯგუფური ინტერვიუების დროს დამსაქმებლებზე საუბრისას მათ ეროვნულ მიკუთვნებულობასა და რელიგიაზე ხდებოდა ხაზგასმა. უცხოელებთან/ეთნიკურ უმცირესობებთან მუშაობის, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გამოცდილების მიუხედავად, სტუდენტები წინააღმდეგობრივ მაგალითებს ყვებოდნენ და აქცენტს აკეთებდნენ თურქი დამსაქმებლების ნეგატიურ დამოკიდებულებასა და რელიგიური მიკუთვნებულობის მნიშვნელობაზე დასაქმების პროცესში. ასევე გავრცელებული ტენდენცია ჯგუფური დისკუსიების დროს იყო დასაქმების დროს შრომითი უფლებების დარღვევისას არაქართულ წარმომავლობაზე მითითება და ქართველების ჩაგრულობის გამოკვეთა, ამ შემთხვევაში, თურქების

ძლიერ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან შედარებით, რასაც კვლევაში მონაწილე რესპონდენტების ნაწილი აღიქვამს როგორც ეკონომიკურ ექსპანსიასა და სახელმწიფოს გულგრილობას. სტუდენტების მიერ შრომითი ურთიერთობების არაქართველის მიერ დარღვევა აღიქმება, როგორც ნეგატიური დამოკიდებულება იმ კონკრეტული ერისაგან, რომლის წარმომადგენლიც არღვევს რაიმე უფლებას და შემდეგ ხდება მისი განზოგადება მთელ ქართველ ერზე, მაშინ, როცა ქართველი დამსაქმებლის მიერ უფლებების დარღვევას სტუდენტები საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობებით ხსნიან:

„არაბებთან ვიყავი მისული, მაცივრებს და გაზებს აკეთებენ. საქართველოში, ქართველი ახალგაზრდები რომ შევხედე, როგორ მუშაობდნენ, ვერც ჯდებოდნენ, წელში მოხრილები“.

„იცი, როგორ არის, არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ ქართველების და ეთნიკური სომხების რაოდენობა გათანაბრდა, და თითქმის გაასწრო კიდევაც სომხურმა მოსახლეობამ“.

„მე იმ აზრზე ვარ, რომ მათ უფრო მეტ უფლებას აძლევენ“.

სიტყვა „უმცირესობის“ შესახებ სტუდენტების ასოციაციები უკავშირდება რელიგიურ, ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებს. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გახსენებისას რესპონდენტები ქართველობასთან ავლებდნენ პარალელს, ხოლო სექსუალური უმცირესობების წარმოთქმას სიჩუმე, სიცილი ან უხერხულად, ხმადაბლა გამოთქმული მოსაზრებები მოჰყვებოდა. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები სინონიმებადაც გამოიყენებოდა, ხოლო სექსუალური უმცირესობებისთვის აბრევიატურას ლგბტ ან მის არასწორ, დამახინჯებულ ვერსიას იყენებდნენ.

ბიჭების ფოკუს-ჯგუფებში უფრო მეტი დაძაბულობა და უხერხულობა იგრძნობოდა, რაც დანარჩენი რესპონდენტების სიცილით განიმუხტებოდა:

„მე მაშინვე მახსენდება ქართველი ერის სიმცირე, თანდათან რომ ვცოტავდებით“.

„ლგბტ წარმომადგენლები“.

„საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც უმცირესობაშია და განიცდის დისკრიმინაციას უმრავლესობისგან. ეს არის ნებისმიერი რელიგიური თუ სხვანაირი ჯგუფი“.

„შეიძლება უმრავლესობაშიც იყოს უმცირესობა. ანუ ისეთი ადამიანები, ვინც ამროვნების მიხედვით არიან უმცირესობაში“.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებში მონაწილეები გამოიჩინეს აქტიური, პასიური და ნეიტრალური პოზიციების მქონეებად. აქტიური წევრები გამოიჩინეს რელიგიურ-ნაციონალისტური ნარატივით. პასიური რესპონდენტები ეთანხმებოდნენ აქტიურ სტუდენტებს და ნეიტრალური პოზიციები გამოიჩინეს „უცხო სფეროს“ ადგილის მიჩენითა და მათთვის „ჩარჩოს ფარგლების მითითებაში“, რასაც ისინი უსაფრთხოებითა და უმრავლესობის უპირობო უპირატესობით ხსნიდნენ. რაც შეეხება გენდერულად დიფერენცირებულ ჯგუფურ დისკუსიებს, გოგონების ნარატივი შეიძლება დახასიათდეს შედარებით ტოლერანტულად, ბიჭების ნარატივისგან განსხვავებით, რასაც რესპონდენტები „ქართველი კაცის შეუგუებელი ბუნებით“ ხსნიან.

უმცირესობების საკითხებზე, მათ მიმართ განწყობებსა და მათ უფლებებზე საუბრისას სტუდენტები ხაზს უსვამენ ეთნიკურ, რელიგიურ მრავალფეროვნებას, ისტორიიდან მოჰყავთ მაგალითები ქართველი ერის ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შესახებ, იხსენებენ დავით აღმაშენებლის მეჩეთში სტუმრობის ისტორიულ მაგალითსა და სინაგოგის, მეჩეთისა და მართლმადიდებელი ეკლესიის გვერდით თანაარსებობას. ეს არის ტოლერანტობისა და ქართველი ერის შემწყნარებლობის გავრცელებული მაგალითები, თუმცა, იგივე სტუდენტები რელიგიურ თუ ეთნიკურ იდენტობაზე საუბრისას ნეგატიურ მაგალითებსაც იშველიებენ. ლგბტ თემის (სექსუალური უმცირესობების) შემთხვევაში კი, ძირითადად, უარყოფითი კონტექსტი ვლინდება და მათი პოზიცია პირობით კატეგორიაში ექცევა – თუ „ისინი ჩარჩოებში იქნებიან, არ დაიმსახურებენ ნეგატიურ განწყობებს“. მესამე, გამოკვეთილი ტენდენცია სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით, არის პოზიტიური დისკრიმინაცია, რომლის მიხედვითაც ხდება ლგბტ თემის წევრების ეგზოტიზაცია და ისინი მისაღები არიან იმდენად, რამდენადაც მიეკუთვნებიან ლგბტ თემს.

დემოგრაფიული ფაქტორი („ქართველები მცირდებიან“) და ეკონომიკური შესაძლებლობების მაღალი მაჩვენებლები ის ფაქტორე-

ბია, რაზეც სტუდენტები ნეგატიურ აქცენტებს აკეთებენ არაქართველ ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით. დემოგრაფიული მაჩვენებლების არგუმენტი, ძირითადად, მაღალი კონცენტრაციის მქონე ეთნიკურად არაქართული ტიპის დასახლებაში გვხვდება, სადაც სტუდენტები, ერთი მხრივ, ხაზს უსვამენ ქართველთა რაოდენობრივ სიმცირეს და, მეორე მხრივ, საუბრობენ ეთნიკურ უმცირესობათა შიდაჯგუფურ იზოლაციაზე, რასაც ნაწილობრივ სახელმწიფო პოლიტიკით ხსნიან, ნაწილობრივ კი თავად ეთნიკური უმცირესობების განწყობით, რომ არ სურთ ინტეგრაცია. ამ პროცესში ასევე გარკვეულ როლს აკისრებენ განსხვავებულ რელიგიასა და ენას, რომლებიც განმაცალკევებელ მახასიათებლებად წარმოჩნდება:

„ნაწილი ძალიან უარყოფითადაა განწყობილი. ეს უფრო პიროვნებაზეა დამოკიდებული. ქალები უფრო, რა თქმა უნდა, შემწყნარებლები არიან. ალბათ, კაცში უფრო ქართული მენტალიტეტია ჩადებული“.

პრობლემური აღმოჩნდა ტერმინები ყველა დისკუსიის დროს, განსაკუთრებით ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ასევე რასობრივი ნიშნით საკითხების განხილვისას. რესპონდენტები ხშირად სინონიმებად იყენებდნენ ეთნიკურ და რელიგიურ მიკუთვნებულობას. ამგვარი დამოკიდებულება გამოიკვეთა მუსლიმებზე საუბრისას, როდესაც რესპონდენტები თურქებს ახსენებდნენ ან მუსლიმის სინონიმად მაჰმადიანს გამოიყენებდნენ. ასეთი ტიპის დისკუსიის დროს ეთნიკური, რელიგიური და რასობრივი ცნების რესპონდენტებისეული განმარტება აიგებოდა ქართველის ისტორიულად ჩამოყალიბებული იდენტობის საპირისპიროდ, რომ ვინც არ არის ქრისტიანი, ეთნიკურად ქართველი, არ საუბრობს ქართულად და შესაბამისი გარეგნობაც არა აქვს, ის ძნელად მიიჩნევა ქართველად. ასეთ საუბრებში ქართველობა გაიგივებული იყო არა მოქალაქეობ-

რივ იდენტობასთან, არამედ რელიგიურ, ლინგვისტურ ან ეთნიკურ კატეგორიასთან.

რელიგიური უმცირესობები

რელიგიური უმცირესობებისადმი დამოკიდებულება, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, გამოძახილს პოულობს ეროვნულ იდენტობასთან, რაც პოპულარული ისტორიული მაგალითებით არის განპირობებული. შესაბამისად, კვლევაში, რელიგიურ უმცირესობებზე საუბრისას, თავი იჩინა ნაციონალისტური იდენტობით მოტივირებულმა რელიგიურობამ და, პირიქით, რელიგიურობით განსაზღვრულმა ნაციონალურმა მიკუთვნებულობამ, სხვა რელიგიები კი საფრთხის შემცველ იდენტობებად წარმოინდა:

„ჩვენთან ეთნოსი, ძირითადად, რელიგიასთან ასოცირდება და ეს არის... მაგალითად, თურქი აუცილებლად მუსულმანიცაა, აზერბაიჯანელიც მუსულმანია, ქართველი თუ მქვია, აუცილებლად მართლმადიდებელი უნდა ვიყო, ესეთი რაღაცეები არის“.

არადომინანტურ რელიგიურ ჯგუფებზე საუბრისას რესპონდენტებმა ჩამოთვალეს მათ ქალაქებში მცხოვრები იეჰოვას მოწმეები, მუსლიმები, კათოლიკები, ბუდისტები, სომეხთა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები და მათ შორის, ათეისტები. კვლევაში მონაწილე ყველა ქალაქში ჩატარებული დისკუსიების დროს სტუდენტები ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით პასუხობდნენ შეკითხვებს რელიგიურ უმცირესობათა შესახებ. თელავის, გორის, ახალციხის, ქუთაისის, ზუგდიდისა და ბათუმის შემთხვევაში „რელიგიური უმცირესობები“ განსხვავებულ მნიშვნელობას იძენდა და დამოკიდებულებებიც, შესაბამისად, ცვალებადი იყო. თუმცა, მიუხედავად სხვადასხვა ქალაქში კონკრეტული რელიგიური

ჯგუფებისადმი განსხვავებული დამოკიდებულებისა, ზოგადად, უმცირესობისადმი დამოკიდებულება მაინც ერთგვაროვანი იყო ყველა ქალაქში. რელიგიური უმცირესობებისა და ზოგადად, უმცირესობებისადმი მიმართება გამოიხატება ისეთ საერთო ღირებულებაში, როგორც არის უსაფრთხოება, „კოლექტიური/ნაციონალური გადაგვარება“, გაქრობა, დემოგრაფია და საჯარო სიკეთისადმი ხელმისაწვდომობაში შეცვლება, „სხვების“ სიმრავლისა და სახელმწიფოს მიერ პრივილეგიათა მინიჭების გამო, რაც ეკონომიკისა და პოლიტიკის ენაზე ითარგმნება, როგორც რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. ამ პოზიციიდან შეიძლება აიხსნას ის შიში, რაც რესპონდენტებს „სხვების“, მათგან განსხვავებულის მიმართ შეიძლება ჰქონდეთ. სტუდენტები თავიანთ ქალაქებსა და რეგიონებში რელიგიურ უმცირესობათა აღწერისას განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდნენ და სხვა უმცირესობებთან შედარებით, უფრო მეტ დროს უთმობდნენ, მუსლიმებსა და იეჰოვას მოწმეებს. მუსლიმებთან დაკავშირებით გამოიკვეთა ეთნიკურ-ნაციონალისტური მიკუთვნებულობის, მეჩეთების მშენებლობისა და თურქეთის გავლენის საკითხი; ხოლო იეჰოვას მოწმეებისადმი – მათ მიერ საკუთარი რწმენის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ფორმებისადმი გამოიხატა ნეგატიური დამოკიდებულება. რაც შეეხება სხვა რელიგიურ ჯგუფებს, მათ მოიხსენიებდნენ ქრისტიანობის განშტოებებად, რაოდენობრივად მცირეებად, ნაკლებად საჯაროდ აქტიურებად და შესაბამისად, ნაკლებ საფრთხის შემცველ რელიგიებად.

მუსლიმთა საკითხი რელიგიური ნარატივიდან ეთნიკურ და ნაციონალისტურ თემებში გადადის და აიგება ქართველობის ცნების გაგების საპირისპიროდ, ხოლო იეჰოვას მოწმეებისადმი ნეგატიური განწყობა მათ მიერ საკუთარი შეხედულებების გავრცელების ფორმის, პრობელიტიზმის მიმართ გამოიხატება. თუმცა, რესპონდენტები ამ შემთხვევის განსაკუთრებული მნიშვნელობის გასაბათილებლად იხსენებენ ქრისტიანობის გავრცელების იმ ფორმებს, რაც არსებობდა

ძველ დროში და ამის მაგალითად წმინდა ნინოს ქადაგება მოჰყავთ, როდესაც ის, გადმოცემის მიხედვით, ფეხით დადიოდა და ასე ავრცელებდა ქრისტიანობას:

„ყველა ერი ხომ ირჩევს თავის რელიგიას, ჩვენ ავირჩიეთ ქრისტიანობა. შესაბამისად, ეს ჩვენი რელიგიაა, მაგრამ შეიძლება სხვა რელიგიის წარმომადგენელიც იყოს ქართველი. უყვარდეს სამშობლო, ენა, კულტურა. რელიგია მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია ქართველობისა, რასაც ზოგ ტელევიზიაში მასხრად იგდებენ და დასცინიან ჩვენს ტრადიციებს, მხოლოდ ღრეობად მიაჩნიათ...“

ეთნიკური უმცირესობები

კვლევის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების საკითხი უმრავლესობის ინტერესების საპირისპირო მოვლენად აღიქმება და შესაბამისად, წარმოდგენილია, როგორც საფრთხე. ეთნიკური უმცირესობა გაიგივებულია არაქართველობასთან, რაც, თავის მხრივ, უფლებების ნაკლებ რეალიზაციასა და სოციალური სიკეთით გართულებულ სარგებლობაში უნდა გამოიხატებოდეს.

რესპონდენტების ნარატივში გამოიკვეთა ეთნიკურად არაქართველებისა და ეთნიკური ქართველების ეკონომიკური შესაძლებლობების განსხვავებები, სადაც, სტუდენტების შეხედულებების მიხედვით, ეთნიკურად ქართველები ნაკლები მატერიალური შესაძლებლობებით გამოირჩევიან. ეთნიკურ უმცირესობათა ეკონომიკური შესაძლებლობები, სტუდენტების ნარატივის მიხედვით, აიხსნება მათთვის სახელმწიფოს მიერ პრივილეგიების მინიჭებითა და „გაბატონების“ შესაძლებლობის მიცემით. მსგავსი დამოკიდებულება განსაკუთრებით თურქებისა და ჩინელების მიმართ ვლინდება. თურქოფობიულ

განწყობებს, გარდა ეკონომიკური ექსპანსიის შიშისა, აძლიერებს რელიგიური განსხვავება და „ისტორიული მტრის“ არგუმენტი:

„სახელმწიფომ, ჩემი აზრით, არ უნდა მისცეს გაბატონების უფლება. მე ვთვლი, რომ ისინი უკვე გაბატონებულები არიან. სახელმწიფოს როცა შეუძლია, რომ მიწა მიჰყიდოს ქართველს, არ უნდა ყიდდეს თურქზე და არ უნდა გააბატონოს ისინი. მე ვიტყვოდი, რომ სახელმწიფომ თურქები გააბატონა აჭარაში. მაგალითად, ქართველი რომ მიდის თურქეთში სამსახურის საძიებლად, ეგრე არ უნდა იყოს. სახელმწიფომ უნდა შექმნას აქ პირობები, რომ ადამიანები არ იყვნენ მოწყვეტილი ოჯახს“.

„საქართველოში მე მგონია, რომ ყველა კარგად გრძნობს თავს, გათქვეფილები არიან ერთმანეთში. ჩინელებიც კი, აი, მაგალითად, ჩვენს რეგიონში იმხელა გავლენა აქვთ ხალხზე, თუნდაც მათთან დასაქმებულებზე. მე გავიგე რამდენიმე დღის წინ, რომ ჩინელებმა მალაზიაში ერთი გოგო აიყვანეს და ორი კვირაც ვერ იმუშავა, ისეთი ცუდი გრაფიკით და პირობებით ამუშავებდნენ“.

„იმდენი ჩამოდის და აბანდებს აქ თავის მომავალს და იმდენი უქმნის თავის შთამომავლობას მომავალს აჭარაში, რომ შესაძლოა ძალიან ბევრი რაღაც ხდება, ჩვენ რომ გვძინავს. ჩვენ კიდევ ამაზე არ ვფიქრობთ საერთოდ. ჩვენ კიდევ გართობაზე ვფიქრობთ. მომავალს ნელ-ნელა აჭარაში თურქები ქმნიან და ჩვენ ამას ვერც ვაანალიზებთ. საქმე საქმეზე რო მიდგება, უკვე გვიანი იქნება“.

კულტურული მახასიათებლების განსხვავებისას რესპონდენტების ნარატივი მიუთითებს ინტეგრაციისა და კულტურული ასიმილაციის აუცილებლობაზე. ეთნიკური ჯგუფების დაბალი ინტეგრაცია, ერთი

მხრივ, მათი კონკრეტულ საცხოვრებელ ადგილას მაღალი კონცენტრაციით შეიძლება იყოს გამოწვეული. ასევე, სირთულეს წარმოადგენს ენობრივი ბარიერი ზოგიერთ რეგიონში და ამ ფაქტორებს აძლიერებს რელიგიური განსხვავებულობის მიმართ ნეგატიური განწყობები. სტუდენტები ასევე მიუთითებენ, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის არსებობს პრივილეგიები, რაც უთანასწორობისა და უსამართლობის განცდას ამძაფრებს კონკრეტული ჯგუფებისა და მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ. რელიგიურ უმცირესობათათვის ეკლესიების მშენებლობის ნებართვას, ეთნიკურ ან ლინგვისტურ უმცირესობათათვის სოციალიზაციის ხელშეწყობას სტუდენტები პრივილეგიებად მიიჩნევენ, მაშინ, როცა ამგვარ ნაბიჯებს ინტეგრაციისა და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის იდეა შეიძლება ახლდეს თან:

„მეც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ვარ. ამის გამო პრობლემები არ შემქმნია, რაც ძალიან კარგია. მე გარეგნულად არ მეტყობა, რომ განსხვავებული ვარ და ამიტომ მე თვითონ ვამბობ ხოლმე“.

„ეს იმიტომ, რომ ეს ადამიანი გამოერია ქართველებში და თავს ძალიან კარგად გრძნობს. იეზიდები შეერივნენ თელავის მოსახლეობას, არ დარჩნენ იმ ჯგუფში, სადაც მხოლოდ ეთნიკური უმცირესობები არიან“.

„ყოველთვის ნებისმიერ ქვეყანაში იქნება ეროვნული უმცირესობა, არაინტეგრირებული თუ ჩაიკეტება თავის ჯგუფში. პანკის ხეობაში ქისტები არიან ყველაზე ჩაკეტილები, ჯავახეთში _ სომხები და აზერბაიჯანელები“.

„ჩემს სოფელში არის ეთნიკური უმცირესობები _ ქისტები. მე ვერც აღვიქვამ, რომ ისინი უმცირესობები არიან. სახელმწიფო

დიდ ყურადღებას აქცევს მათ, სკოლებს უშენებენ, იუსტიციის სახლებს და ა.შ. მეჩეთებიც აქვთ“.

„მაგალითად, მკერავის პროფესია, ან თმის მჭრელის პროფესია – ძირითადად სომხები არიან დასაქმებულები აქ. მე პატივს ვცემ და ბევრთან ვმეგობრობ, იმათ არ ეთაკილებათ, ჩვენ – კი. დასაქმებულები არიან და ფულსაც შოულობენ“.

ამგვარ განწყობებში, სტუდენტების ნარატივში ვლინდება უსამართლობისა და უთანასწორობის განცდა. მათი მოსაზრებით, ეთნიკური უმცირესობები აღქმულნი არიან „სხვებად“, რომლებსაც ეძლევათ პრივილეგიები ეთნიკურად ქართველების ან მართლმადიდებლების ხარჯზე.

ღვბო თეში

ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ადამიანების (სექსუალური უმცირესობების) მიმართ, სხვა უმცირესობებისგან განსხვავებით, ყველაზე მკაფიო პოზიცია ჰქონდათ რესპონდენტებს, რაც უმეტესად ნეგატიურ დამოკიდებულებაში ან მათი გარკვეული „ჩარჩოს“ ფარგლებში ყოფნაში გამოიხატება. სექსუალური უმცირესობები, კვლევაში წარმოდგენილი სხვა უმცირესობებისგან განსხვავებით, გოგონებისგან უფრო მეტ ლოიალურობას იმსახურებენ მოცემული კვლევის ფარგლებში, ვიდრე ბიჭებისგან, რასაც ხსნიან „ქართველი კაცის ბუნებით“. გარდა ამისა, სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ნეგატიური დამოკიდებულების ან მიუღებლობის ისეთი ფორმები, რომლებიც, ერთი მხრივ, ეხმიანება რელიგიურ ნარატივს – ცოდვის შიშს, ასევე სოციალურ ანომიას – ქალისა და კაცის დადგენილი როლისგან გადახვევას და რაც მთავარია, სოციალური გარიყვის შიშს:

„კი არის, მე მყავს მეგობარი, რომელიც გვია და მაღაგს, ეშინია, რა თქმა უნდა, რომ გაიგოს ყველამ, რომ გვია, იქნება გარიყული“.

ყველაზე გავრცელებული ტოლერანტობის ფორმა ლგბტ თემისადმი (სექსუალური უმცირესობებისადმი) მათი ჩარჩოში მოქცევა და „თავიანთი ადგილის“ მიჩენაა. ამგვარი მიდგომა სხვა უმცირესობებზეც ვრცელდება, თუმცა, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ადამიანების მიმართ ეს დამოკიდებულება იძენს პოლიტიკურ ელფერს და დასავლეთიდან შემოტანილ, არაქართულ, არამართლმადიდებლურ, უმრავლესობისგან განსხვავებულ მოვლენად ხასიათდება, რაც, მათი შეხედულებით, წინააღმდეგობაში მოდის ქართველის იდენტობასთან:

„ჩვენ, უმრავლესობა, არა ვართ სხვა რელიგიის წარმომადგენლები, არა ვართ, მაგალითად, არატრადიციული ორიენტაციის მქონენი, ვინც უმრავლესობაში ვართ, ამას გვულისხმობ“.

„ჩემი აზრით, მე ვერაფერს ვერავის დავუშლი, და არც გვაქვს უფლება, რომ დავუშალო, იმას კაცთან ყოფნა თუ უნდა, იყოს, მაგრამ თავისთვის, ამით ჩემს უფლებებს ნუ გადმოვა და ნუ გააზვიადებს და მე თუ მენდომება გოგოსთან ყოფნა, მე ჩემთვის ვიქნები“.

„ეს არ უნდა მოხდეს, თუ იქნება დაშვებული, იყვნენ თავისთვის, თავისი კუთხე ჰქონდეთ, ჩვენ ნუ შეგვეხებიან და ჩვენც ნუ შევეხებით“.

„თავისთვის იყვნენ, ოღონდ ჩვენ არ შეგვეხონ“.

„ყველა ადამიანს დაბადებიდან აქვს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ მე მგონია, რომ თავზე არ უნდა მოგვახვიონ. თავისთვის რაც უნდათ, ის აკეთონ. მაგრამ საზოგადოებაში რომ აკეთებენ ასეთ რაღაცეებს, არ არის კარგი. ნუ იქნებიან ასე თვალში საცემი, ზოგჯერ სკვერებშიც ხდება“.

რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით, რთული სათქმელია, სექსუალური „უმცირესობა“ არის თუ არა მართლა უმცირესობა, რადგან ადამიანებს აქვთ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის საჯაროდ გამოხატვის შიში, ამიტომ რაოდენობრივი მახასიათებლით ამ კონკრეტულ ჯგუფზე საუბარი არარელევანტურია, მაშინ, როცა ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობათა შესახებ ოფიციალური სტატისტიკაც მოიპოვება. პრობლემური ნაწილი აღნიშნული ჯგუფისთვის რესურსებსა და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობისას იჩენს თავს, რაც უმცირესობის შინაარსობრივი მახასიათებელია და არა რაოდენობრივი:

„მაგის აყვანა შეიძლება [სამსახურში] იმ იმით, რომ თავის ჩარჩოებიდან არ გამოვიდეს, მერე შეიძლება ვიღაც კლიენტს უთხრას, იცი, რა, მე გეი ვარ“.

სექსუალური უმცირესობების (ლგბტ თემის) მიმართ განწყობების დროს გამოიკვეთა რესპონდენტებში გავრცელებული აზრი, რომ ისინი არ ფლობენ ინფორმაციას სექსუალური ორიენტაციებისა და მათთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. დისკუსიების დროს ხშირად იყენებდნენ ზეპირსიტყვიერად გავრცელებულ ინფორმაციას, რაც სტატიებზე ან მეგობრების, ნაცნობების გამონათქვამებსა და შეხედულებებზე იყო აგებული და წარმოადგენდა მცდარ ინფორმაციას, თითქოს სექსუალური ორიენტაცია ადამიანის ყურებით ან მოსმენით გადადის. გარდა

ამისა, პრობლემურია მცდარი ან მუდმივად ნეგატიური ინფორმაცია, რაც აძლიერებს განწყობებს ჯგუფის წევრების მიმართ. ყველაზე გავრცელებული აღქმა სექსუალური უმცირესობის ჯგუფის წევრებისა მათი მხოლოდ ერთი იდენტობის მიხედვით აღქმაა, რომელიც სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დაჩაგრულობაში ავლენს თავს და ყალიბდება სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, ყველა, ვინც ლესბოსელი, გეი, ბი-სექსუალ ან ტრანსსექსუალ თემს ეკუთვნის, ჩაგრულია და სხვაგვარი ცხოვრებისეული გამოცდილება არ გააჩნია:

„ვერ გვექნება [აზრი] იმიტომ, რომ საკმარის ინფორმაციას არ ვიღებთ“.

„ეხლა როგორც მე წავიკითხე, აფიშირება არის იმის, რომ მივცეთ მათ ერთსქესიანთა ქორწინების უფლება და ბავშვის აყვანის უფლება, მე მერე წავიკითხე ფსიქოლოგების სტატია შვილად აყვანის უფლებაზე, გამოდიან არასამთავრობოები და ამბობენ, რატომ არ უნდა ჰქონდეთ ამის უფლებაო, ფსიქოლოგების სტატიის მიხედვით, არ შეიძლება ბავშვი იზრდებოდეს ასეთ გარემოში, არ იცის მან, რომელია დედა და რომელი მამა, არაჯანსაღი ფსიქიკა აქვთ“.

„ტელევიზიიდან სულ გვესმის უარყოფითი, რომ ჩაგრავენ და მერე ესენიც გამოდიან და მაგაზე საუბრობენ“.

„ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარული თემა გახდა. სოციალურ ქსელში ბევრი ვიდეო, სურათი გაჩნდა. ტელევიზიითაც, „იმედის“ ეთერში იყო, მერე ადარებენ უცხოელ ტრანსებს და ქართველ ტრანსებს. რას გვანან, მოდელიც არის ტრანსი და ადარებენ ქართველებს. კესო-ბესო მოსწონთ და ჩვეულებრივები თუ არიან, არ მოსწონთ“.

სექსუალურ უმცირესობებზე საუბრისას სტუდენტები თავად იწყებდნენ ე. წ. ერთსქესიანთა ქორწინების, მათ მიერ შვილად აყვანის უფლების მოთხოვნასა და „გეი-აღლუმების“ განხილვას. ამ საუბრებში 17 მაისი (2013 წლის 17 მაისი) ნახსენები იყო, როგორც საქართველოში ჩატარებული გეი-აღლუმის დღე, რომლის მიმართაც ნეგატიური განწყობა ერთმნიშვნელოვნად გამოხატეს სტუდენტებმა, თუმცა მათ ასევე ნეგატიურად შეაფასეს მართლმადიდებელი მღვდლების ძალადობრივი ქმედებები:

„ჩემთვის მიუღებელია ერთსქესიანთა ქორწინება. მე ვცხოვრობ ტრადიციულ ქვეყანაში, ქრისტიანულ ქვეყანაში, და მე ვერ შევგუები იმას, რომ კაცი კაცზე დაქორწინდეს და ქალი ქალზე გათხოვდეს. ეს არის ღმერთის კანონის გადახვევა, როგორც ბაბილონის გოდოლის აშენების დროს იყო. მე მხარს ვუჭერ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც იბადებიან ორი სქესით. ასეთ დისკრიმინაციას მე ყოველთვის შევეკამათები. ისინი უნდა იყვნენ ისე, როგორც ვართ ჩვენ, ჩვეულებრივი ადამიანები. მაგრამ როდესაც გამოდის ჩვეულებრივი კაცი, ცოლ-შვილით, და ამბობს, რომ მას გული კაცისკენ მიუწევს, მე ასეთ კაცს ყოველთვის შევედავები და მათ დასაცავ კანონს ხელს არასდროს მოვაწერ“.

„რომ გამოდიან და გეების აღლუმით და რაღაც, მოდი რა... ჩვენც უნდა მოვითხოვოთ ჩვენიო. შენ სანამ წყნარად იყავი, ხომ არავინ გიშლიდა...“

ამგვარი კომენტარები აჩვენებს ინფორმაციის გავრცელების შინაარსის, ტერმინებისა და მედიის გავლენის მნიშვნელობას შემდგომში მოქალაქეთა შეხედულებებისა და განწყობების ფორმირებაზე.

ფიზიკური მახასიათებლებით დაჯგუფებული ადამიანები

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა ისაუბრეს ფიზიკური მახასიათებლებით განსხვავებულ ადამიანებზე, რაც გამოიხატებოდა კანის ფერსა და ვიზუალურ მახასიათებლებში. ძირითადად, ნახსენები იყვნენ ჩინელები და ნიგერიელები. განსაკუთრებულად მძაფრი ნეგატიური განწყობა ნიგერიელების მიმართ არ გამოვლენილა, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები მათი კანის ფერს ხშირად უსვამდნენ ხაზს, ხოლო ჩინელებისადმი არატოლერანტული განწყობები მათი აქტიური ეკონომიკური საქმიანობით იყო გამოწვეული:

„ვიზუალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს. გერმანელი რომ ჩამოდის, მაინცდამაინც არ ეტყობა, რომ გერმანელია, სანამ საუბარს არ დაიწყებს. ჩინელს პირდაპირ ეტყობა, რომ ჩინელია“.

ქირითაღი განწყობები უმცირესობების მიმართ

რესპონდენტების ჯგუფური დისკუსიებისას გამოიკვეთა უმცირესობებზე ხუთი ყველაზე გავრცელებული პოზიცია:

დემოგრაფიული საფრთხე

რელიგიურ და სხვა სახის უმცირესობებთან დაკავშირებით, ყველაზე გავრცელებულ საფრთხედ რესპონდენტები ქართველთა პოტენციურ დემოგრაფიულ სიმცირეს ასახელებენ, რომელშიც ასევე იგულისხმება მართლმადიდებელთა სიმცირე, უფრო კონკრეტულად კი, სხვა რელიგიის აღმსარებლებთან შედარებით მართლმადიდებელთა შემცირების ტენდენცია:

„ომი არის სირიასა და ავღანეთში, ემიგრანტები აწვებიან ევროპას. აშშ თვითონ არ იღებს ამ მიგრანტებს. საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ცუდ დემოგრაფიულ პოლიტიკას ატარებენ, ჩვენ არ გამოგვადგება ეს. ერი მცირდება და ემიგრანტები მრავლდებიან და ითხოვენ თანასწორ უფლებებსა და კომფორტს. მუსლიმები სასწაულად მრავლდებიან და შეიძლება წლების მერე სულ სხვა სურათი მივიღოთ, რაც ჩვენ არ გამოგვადგება. მით უმეტეს, გვეუბნებიან, რომ სომხებისა და აზერბაიჯანელების მოსახლეობის რაოდენობა იზრდება და ჩვენ ვმცირდებით“.

„დემოგრაფიული პოლიტიკა არის ორნაირი – ჩინეთმა, მაგალითად, პირიქით მიიღო, რომ ორ შვილზე მეტის ყოლა არ შეიძლება. ჩვენ კიდე ეს დემოგრაფიული პრობლემა ძალიან გვაქვს. ქართველები არ მრავლდებიან“.

„საქართველო ყოველთვის იყო შემწყნარებელი, ჩვენზე გადიოდა ეს სავაჭრო გზა და ბევრი ეთნიკური უმცირესობა ცხოვრობდა ქვეყანაში და ეს პრობლემა არ იყო, იმიტომ, რომ ქართველი ერიც მრავლდებოდა“.

რელიგიურ უმცირესობებზე საუბრისას დისკუსიის დიდი ნაწილი მუსლიმთა საკითხს ეთმობოდა, სადაც განწყობები რეგიონების მიხედვით არაერთგვაროვანი იყო. ერთი მხრივ, აქტუალურია მეჩეთების მშენებლობის საკითხი, რაც აჭარაში, ახალციხესა და კახეთში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მეორე მხრივ კი, საუბარია მუსლიმთა რელიგიურ-ეთნიკური იდენტობის ქართულ იდენტობასთან შეუთავსებლობასა და თურქეთთან სიახლოვეზე, რასაც ისტორიული არგუმენტით ხსნიან:

„ისტორიიდან გამომდინარე ჩვენ ძალიან ცუდი დამოკიდებულება გვაქვს მაგეების [მუსლიმების] მიმართ. გარშემო ვინც არის, ყველას, ერთი რუსეთი არის ჩვენი მრწამსის მატარებელი“.

„...მუსლიმანიც ქართველია, რუსი ხომ არ არის“.

„არ ვამბობ, რომ არ უნდა იყოს მეჩეთი, ისინი აქ ცხოვრობენ და ჰქონდეთ საკუთარი სალოცავი, მაგრამ მეჩეთებისა და ეკლესიების რაოდენობა არ უნდა იყოს ერთნაირი. უნდა იყოს ეკლესია მეტი, ვიდრე მეჩეთი“.

მუსლიმების გარდა, დასახელებული რელიგიური უმცირესობებიდან, იეჰოვას მოწმეებისადმი იყო გამოხატული განსაკუთრებით ნეგატიური დამოკიდებულება, ძირითადად, მათ მიერ აღმსარებლობის გავრცელების ფორმების მიუღებლობის გამო. სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ არ არის „სასიამოვნო“, როცა ქუჩაში გაჩერებენ, ან სახლში გაკითხავენ საკუთარი აღმსარებლობის გასავრცელებლად, თუმცა, ყველა რესპონდენტი არ იზიარებდა ამ შეხედულებებს და ნაწილის აზრით, ქართული სტუმართმოყვარეობის სახელით, ისინი სტუმრები არიან, რომლებსაც შესაბამისი მასპინძლობა უნდა გაუწიო:

„ხო, მაგრამ იაღოველების შენობები ეკლესიების წინ არ უნდა იყოს, ცოტა მოშორებით უნდა იყოს“.

„ჩვენ არ ვდევნით არავის რელიგიის მიხედვით, მაგრამ ადამიანის ფსიქოლოგიაა, როცა შენ მიდიხარ წირვაზე და ხუთი მეტრის იქით გესმის სხვა რელიგიის წარმომადგენლის ლოცვა, აგრესია იღვიძებს“.

„შენ სახლში მოდიან. ქართველებს ტრადიცია გვაქვს, რომ სტუმარი რო მოდის, კარს ვერ მიუხურავ...“

უმცირესობად ქცევის შიში/საფრთხე (უმრავლესობის პოზიციიდან საუბარი)

ჯგუფური დისკუსიების დროს გამოიკვეთა უმცირესობების მიმართ შიში და გაუცხოება, ხოლო უმრავლესობა ერთგვარ ცალკე იდენტობად აღიქმება, რომლის მატარებლებიც თითქოს მხოლოდ ქართველი, მართლმადიდებელი, ჰეტეროსექსუალი ადამიანები არიან, ხოლო უმცირესობები და მათი სოციალური აქტივობა საფრთხის შემცველად და უმცირესობად ქცევის შიშად აღიქმება:

„მოსახლეობა აპროტესტებს იმას, რომ მეჩეთები იგება ეკლესიების გვერდზე, ან ამბობენ, რომ მეჩეთების მასობრივად შენება არ შეიძლება და ეს უმრავლესობას არ მოსწონს“.

„მე მყავს, მაგალითად, იალოველი მეზობლები და მშვენიერი ურთიერთობა მაქვს მათთან. საერთოდ არ ვსაუბრობთ რელიგიაზე“.

„იყვნენ თავისთვის, ჩარჩოში“

დისკუსიების ფარგლებში უმცირესობათა მიმართ მკვეთრად გამოხატული იყო მათი იზოლაციის, „ჩარჩოში“ მოქცევის სურვილი, რაც წარმოსახვით სივრცეებად ყოფს გარემოსა და საზოგადოებას, რომელშიც მთავარი სივრცე ისევ უმრავლესობას, ე. წ. დომინანტ ჯგუფებს ეკუთვნით, წარმოსახვით სივრცეებში კი საჯარო სივრცის კონცეფცია იგულისხმება, რადგან დისკუსიების დროს რესპონდენტები ახსენებდნენ „თავისი ადგილის ცოდნის“ აუცილებლობას, ხოლო სანაცვლოდ „უსაფრთხოებას სთავაზობდნენ“. გარდა ამისა, რესპონდენტებში გავრცელებულია ვარაუდი, რომ მართლმადიდებლობიდან სხვა რელიგიებზე კონვერტაცია ხდება ეკონომიკური სიდუხჭირის გამო და მატერიალური კეთილდღეობის მიზნით, რასაც ნეგატიურად და ქვეყნისთვის საფრთხედ აფასებდნენ:

„სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს შორის ურთიერთობა რაღაც ჩარჩოში უნდა მოექცეს. როგორც ამხანაგი და ნაცნობი, ხო... კულტმსახურებაში არ უნდა მიიღო მონაწილეობა. მართლმადიდებელი არ უნდა შევიდეს მეჩეთში, კათოლიკური ეკლესიაში. რა თქმა უნდა, თუ ასე არ იქცევი, შენი სარწმუნოების მოღალატე გამოდინარ“.

„ქრისტიანული სალოცავების გვერდზე არ შეიძლება მუსლიმური სალოცავების აშენება. ძალიან კარგია, რომ თბილისში სინაგოგები, მეჩეთები და კათოლიკური ეკლესიები ერთად არის, მაგრამ... ამდენი შემწყნარებლობა არ შეიძლება. როგორც მიგრანტებმა გადაუარეს ევროპას, და ეს მუსლიმანები რა ვიცი, ისე დაგვემართება ჩვენ“.

„...მაგრამ ოდითგანვე ითქვა „ენა, მამული, სარწმუნოება“ – ეს ყველაფერი ერთმანეთზეა აკინძული. ქვეყანაში ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს. იყვნენ, ჩვენ არაფერს დავუშავებთ, მაგრამ თავისი ადგილი იცოდნენ. საქართველოში არის გაჭირვება, ჰპირდებიან რაღაცებს გაწვევრიანების სანაცვლოდ. აქედან მოდის ყველა უბედურება“.

ჩარჩოში ყოფნა, შესაძლოა, იყოს იმ პრივატული სივრცის ალტერნატივა, სადაც „ყველას შეუძლია ის აკეთოს, რაც უნდა“, თუმცა ტოლერანტობის გამოვლინებისთვის საჯარო სივრცე სასიცოცხლო წინა პირობაა, სადაც ხდება განსხვავებულთა თავმოყრა და თანაარსებობა. მაშინ, როცა უმცირესობათა ჯგუფების იზოლაციასა და ჩაკეტილობაზე საუბრობენ, „ჩარჩოში ყოფნის“ ფაქტორი წინააღმდეგობრივ ხასიათს იძენს.

ნაცნობი

უმცირესობების თემაზე საუბრისას რესპონდენტებში გამოირჩეოდა ტენდენცია, რომ ისინი მიმღებლები იყვნენ არამართლმადიდებელი, არაქართველი ან არაჰეტეროსექსუალი ადამიანების (და არა ჯგუფების) იმდენად, რამდენადაც ისინი იყვნენ მათი მეგობრები და ნაცნობები. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ინდივიდის მიმღებლო-

ბის გამოვლინება და არა ჯგუფისა, ამ აზრით კი მიმღებლობის ფორმა ექსკლუზიურობით გამოირჩევა მხოლოდ მათთვის, ვინც „ნაცნობია“:

„მე, მაგალითად, ვარ ქრისტიანი და მართლმადიდებელი. მე მეგობარი მყავს ათეისტიც, ბუდისტიც და იაჰოველიც, ბიძაშვილებიც მყავს. მე, მაგალითად, არ გამაჩნია მათ მიმართ პრობლემები და არც მათ აქვთ ჩემ მიმართ“.

„...თუმცა, ჩემი მეგობარი იაღოველები არ ცდილობენ, რომ რწმენა მომახვიონ თავს. უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ მუდმივად ყველგან ცდილობენ, რომ თავზე მოგახვიონ თავიანთი რწმენა“.

„გიყვარდეს მტერი შენი“, როგორც ტოლერანტობის ფორმა

უმცირესობებზე საუბრისას რესპონდენტებმა განსხვავებული რელიგიური უმცირესობისადმი შემწყნარებლობა ქრისტიანული რელიგიური დოგმის მიხედვით „მტრის სიყვარულითა“ და სტუმართმოყვარეობის ტრადიციით ახსნეს. ამგვარ დამოკიდებულებაში კარგად ვლინდება დომინანტობა და ძალაუფლებაზე წვდომა, რაც მათ უფლებას აძლევს, დანარჩენებს მიუჩინონ ადგილი და განუსაზღვრონ ცხოვრების წესი:

„თუ ყოფილხართ ვინმე ახალციხეში, იცით, რომ მუსლიმური მეჩეთი და ქრისტიანული ეკლესია არის გვერდიგვერდ. აქედან უნდა ავიღოთ ჩვენ მაგალითი. არავინ არ უნდა გავაგდოთ მეჩეთიდან“.

2012 წელს ჩატარებული კვლევის – „თაობები“¹⁶ – მიხედვით, ახალგაზრდა თაობისთვის რელიგია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ძველი თაობისთვის, და ისინი უფრო ნაკლებად ტოლერანტულები არიან სხვა რელიგიის წარმომადგენლებისადმი, ხოლო რელიგიური იდენტობა უფრო წარმოდგენს იდენტობის საფუძველს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეობა. წინამდებარე კვლევაში კი გვხვდება შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც რესპონდენტები ქართველობის განსაზღვრისას რელიგიას არ მიიჩნევენ მთავარ მახასიათებლად, თუმცა, საქართველოს ქრისტიანულ ქვეყანას უწოდებენ და მასთან შესაბამისად განიხილავენ ტოლერანტობას. უცხო მკვლევარებს რესპონდენტები ქრისტიანული მორალით ხსნიან, რაც გამოიხატება „მტრის სიყვარულსა“ და უცხოელების მიმართ სტუმართმოყვარეობაში. ტოლერანტობის ცნება წინამდებარე კვლევის ფარგლებშიც განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს უმცირესობათა ჯგუფის მიხედვით, რაც ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით პოზიტიურად არის გამოხატული, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებთან შედარებით ნეგატიურად და აქედან გამომდინარეობს სექსუალური უმცირესობების ნაკლები მიმღებლობაც, რადგან სტუდენტები სწორედ რელიგიური პერსპექტივიდან ხსნიან ამ ჯგუფის მიუღებლობის ტენდენციასაც. ამგვარი დამოკიდებულება

¹⁶ კვლევა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.osgf.ge/files/publications/Taobebi_1.pdf, ბოლო ნახვა: [26.06.2017].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რელიგიისკენ მიბრუნებით შეიძლება აიხსნას.

2016 წელს ფრიდრიხ ებერტის ფონდმა გამოაქვეყნა კვლევა „თაობა გარდამავალ პერიოდში“¹⁷, რომლის ძირითადი ფოკუსი პოსტ-საბჭოთა საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობას ეხებოდა. კვლევა მიმოიხილავს ახალგაზრდების განწყობებსა და დამოკიდებულებებს სხვადასხვა საკითხისადმი. კვლევაში არსებული მონაცემები მიგრაციულ განწყობებთან დაკავშირებით ეხმიანება წინამდებარე ანგარიშში ასახულ მონაცემებს, რაც გამოიხატება ახალგაზრდების სურვილში, დატოვონ ქვეყანა, მამოტივირებელ ფაქტორებს შორის პირველ ადგილზე უკეთესი ცხოვრება და განათლების მიღების შესაძლებლობა (გვ. 99), ხოლო დისკრიმინაციული გამოცდილებების შესახებ – განათლების დონისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამო დისკრიმინაციას უფრო ხშირად ასახელებენ რესპონდენტები, ვიდრე უმცირესობათა ჯგუფების მიმართ კუთვნილების გამო. ასეთ დროს მნიშვნელოვანია რესპონდენტის მიკუთვნიებულობა ჯგუფების მიმართ, რადგან, თუ ის არ ეკუთვნის უმცირესობათა რომელიმე ჯგუფს, შესაბამისად, ამ ნიშნით დისკრიმინაციის გამოცდილების ქონაც ნაკლებად არის მოსალოდნელი.

წინამდებარე კვლევაში გამოვლენილი განწყობების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტებში რელიგიური იდენტობა მძლავრობს ნაციონალურ იდენტობაზე.

¹⁷ კვლევა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/FES_Report_GEO_Web_02.01.2017.pdf, ბოლო ნახვა: [26.06.2017].

კვლევის ფარგლებში ძირითადი განწყობები უმცირესობათა მიმართ წინააღმდეგობრივია და მერყეობს ტრადიციებსა და თანამედროვეობას (მოდერნულობას), ადამიანის უფლებებს, დემოკრატიასა და რელიგიური დოგმებით ხელმძღვანელობას შორის. რესპონდენტებში შეიმჩნევა ტენდენცია, ერთი მხრივ, ისაუბრონ ადამიანის უფლებების დაცვის საჭიროებაზე და, მეორე მხრივ, რელიგიური ნარატივით „ჩაასწორონ“ ეს დისკურსი. შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური ნარატივი ერთგვარი ტოტალური მიდგომაა, რომლითაც შეიძლება აიხსნას ის სფეროებიც, რომლებთანაც რელიგიას არა აქვს (არ უნდა ჰქონდეს) კავშირი.

გარდა მოდერნულობისა, უმცირესობათა მიმართ განწყობებს უსაფრთხოების კონოტაციაც აქვს და რაოდენობრივ უმცირესობად ქცევის შიშში გამოიხატება, რაც, თავის მხრივ, რესურსებისადმი ნაკლებ წვდომას ან უმრავლესობისთვის არსებულ სხვა კულტურულ თუ სოციალურ პრივილეგიათა დათმობას მოიაზრებს.

ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებისადმი განწყობების გამოხატვის დროს შეიმჩნევა რელიგიური განსხვავებებისადმი ნაკლები ტოლერანტობა, რელიგიურ ჯგუფებში კი იერარქიული ტოლერანტობა იჩინს თავს კონკრეტული ჯგუფებისადმი დამოკიდებულებაში. რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს, რელიგიური უმცირესობებისგან განსხვავებით, მათ მიმართ დამოკიდებულება უფრო მიმღებლობით შეიძლება დავახასიათოთ. კვლევაში მოცემული ჯგუფური დისკუსიების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ქართველობის განმსაზღვ-

რელ მახასიათებლებს შორის რელიგიური იდენტობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ეთნიკური ქართველობა.

რობერტ პუტნამის (Robert David Putnam; 1941) მიხედვით, სოციალური კაპიტალი ორგვარად იყოფა: შემაკავებელ და მაკავშირებელ კაპიტალად. შემაკავებელი კაპიტალი ადამიანებს უბიძგებს, ჩაიკეტონ და არ გამოვიდნენ თავიანთი სოციალური წრიდან, რადგან ისინი უფრო კომფორტულად და უსაფრთხოდ გრძნობენ თავს იქ, სადაც უფრო მეტ მსგავსებას ნახულობენ სხვა ადამიანებთან, ხოლო მაკავშირებელი კაპიტალი, პირიქით, განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობის აღსაწერად გამოიყენება, რაც ასევე უზრუნველყოფს კავშირს სხვადასხვა ჯგუფთან და ბადებს დიდ სოციალურ ქსელს. ორივე ტიპის კაპიტალი ემსახურება ერთმანეთს, თუმცა, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის გასაზომად მაკავშირებელი სოციალური კაპიტალის ფორმა უფრო რელევანტურია. პუტნამის მიერ ამგვარად დანახული სოციალური კაპიტალი ჯგუფებს შორის განსხვავებებს ხედავს, როგორც რესურსს და არა როგორც კონფლიქტის წყაროს.

გორდონ ალპორტის (1954) „კონტაქტის ჰიპოთეზა“ მიუთითებს და გამოიყენება განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის დასამყარებლად. ამ თეორიის მიხედვით, როცა ერთხელ მაინც გქონია შეხება განსხვავებული იდენტობის/ჯგუფის ადამიანთან, მის მიმართ ნდობა იზრდება და მცირდება აგრესია. თუმცა ამის საპირისპიროდ, „კონფლიქტის თეორიის“ მომხრეები საუბრობენ შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე უცხოის მიმართ მზარდ შიშებსა და მიუღებლობაზე. კერძოდ, ამ მიდგომის მიხედვით, მრავალფეროვნება და განსხვავებები ხელს უწყობს ჯგუფის შიგნით, მსგავსების მქონე ადამიანებს შორის სოლიდარობის ამღლებას და ჯგუფის გარეთ, განსხვავებების მქონე ადამიანებს შორის უნდობლობის ზრდას. ამ თეორიის შესაბამისად, რაც უფრო მეტი კონტაქტი აქვთ ჯგუფის წევრებს მათგან განსხვავებულ ადამიანებთან, მით უფრო ძლიერდება უნდობლობა მათ შორის და იზრდება ლოიალურობა მსგავსების მქონე ადამიანებთან.

საქართველოს შემთხვევაში, ეთნიკური, რელიგიური, ეკონომიკური, ენობრივი კულტურული, პოლიტიკური და სხვა სახის განსხვა-

ვებები ჯგუფებს შორის და ჯგუფის შიგნით მრავალფეროვნება, მათ შორის, ასაკის, ენის, სქესის, განათლების თუ დასახლების ტიპის მიხედვით, უამრავ მცირე ჯგუფს წარმოშობს და შესაბამისად, ამცირებს ერთიანობისა და სოციალური სოლიდარობის განცდას. როგორც წესი, ასეთ დროს შემაკავებელი და მაკავშირებელი სოციალური კაპიტალის თეორია ამუშავდება, რომლის თეორიულ ნაწილშიც შემაკავებელი სოციალური კაპიტალი, მაგალითად, ქართველი, მართლმადიდებელი კაცი მეგობრობს იმავე მახასიათებლების ადამიანთან, რაც ნეგატიური ფაქტორია სოციალური ინტეგრაციისა და სხვა ჯგუფის წევრების სოციალური მობილობისთვის.

ამგვარი დამოკიდებულების დასაძლევად იდენტობის უფრო ფართო გაგების შემოტანაა საჭირო, სადაც ყველა მცირე თუ დიდი ჯგუფი საკუთარ თავს აღმოაჩენს და, მეორე მხრივ, ამგვარმა გაფართოებამ უნდა გამოიწვიოს რესურსების გადანაწილების სისტემის გადახედვა როგორც სახელმწიფო დონეზე, ისე მიკროჯგუფებისთვის, რასაც სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ცნება შემოაქვს – ყველა მოქალაქე უნდა გრძნობდეს თანასწორუფლებიანობას, მიუხედავად ჯგუფური კუთვნილებებისა.

იდენტობა არ უნდა წარმოადგენდეს იმგვარ კატეგორიას, რაც განაპირობებს და განსაზღვრავს ადამიანთა შესაძლებლობების გამოვლენას ცხოვრებაში. პირიქით, ეს უნდა იყოს კულტურული მრავალფეროვნებისა და საზოგადოების, სოციალური კაპიტალის შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღქმული უნდა იყოს რესურსად და არა შეზღუდვად. მიგრაციის მაჩვენებლების ზრდის, ინფორმაციული ეპოქის, კომუნიკაციური განვითარებისა და კულტურული ღირებულებების აქტიური მიმოცვლის გამო მომავალი მრავალფეროვნებასა და განსხვავებებს ეკუთვნის, ხოლო ამ კონტექსტში სოციალური კაპიტალის შემაკავებელი და მაკავშირებელი ფაქტორი გამოყენებული უნდა იყოს, როგორც საშუალება უსაფრთხო, ტოლერანტული და შემწყნარებელი გარემოს შესაქმნელად.

უმჯიჩესობათა უესახებ წარმოებური ძირითადი საჯარო დისკურსები გეღიაში

მედიადისკურსი სტიუარტ ჰოლმა (1978) განმარტა, როგორც საჯარო იდიომა, რომელიც არ არის ჰომოგენური და მის მთავარ მახასიათებლად შერჩევითობა (სელექციურობა) მიიჩნია, რაშიც იგულისხმება ჟურნალისტების მიერ კონკრეტული ამბისთვის კატეგორიის მინიჭება (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა) და სხვადასხვა საკითხის გაშუქების ან არგაშუქების გადაწყვეტილება. ამ შერჩევითობის მეშვეობით მედია ახდენს ინფორმაციის სტრუქტურულ კატეგორიზებას და შესაბამისად, გარდაქმნის მათ მნიშვნელობებს. შერჩევის მთავარ კრიტერიუმად გამოიყენება პროფესიონალიზმი, ტექნიკური და კომერციული შეზღუდვები, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს დეფინიციებისა თუ სოციალურ იდენტობათა წარმოების, მათზე გავლენის მოხდენის პროცესში. ჰოლის მიხედვით, მსოფლიო საინფორმაციო გამოშვებებისა და ზოგადად, მედიის დომინანტური ორიენტაცია სკანდალებსა და სექსუალურობაზე არის მიმართული, ხოლო ამ პროცესში მედია სპეციფიკური ენის გამოყენებით აქცევს კონკრეტულ შემთხვევას დასრულებულ მედიაპროდუქტად და რაც მთავარია, სხვადასხვა მედიაგამოცემა თავის ენას გამოიმუშავებს კონკრეტულ აუდიტორიასთან სასაუბროდ. ეს, ერთი შეხედვით, მრავალფეროვნებას უნდა უწყობდეს ხელს, მაგრამ ჰოლის მიხედვით, ამგვარ მიდგომას პლურალიზმთან არაფერი აქვს საერთო, რადგან ხშირად ასეთი ენობრივი სპეციფიკა იდეოლოგიურად არის ლიმიტირებული. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მედიასაშუალებას თავისი სპეციფიკური სასაუბრო ენა აქვს, რაც გამომდინარეობს მათი კონკ-

რეტული აუდიტორიიდან, ისინი მაინც იზიარებენ იმ „ღირებულებით კონსენსუსს“, რაც უფრო ღრმად არის ჩანერგილი საზოგადოებაში, ვიდრე მხოლოდ სასაუბრო ენა (ჰოლი, 1978; გვ. 60-61). მაშასადამე, ყოველი მედიასაშუალება თავად წყვეტს, რომელი ინფორმაცია, რომელი კატეგორიით, როგორ ენაზე, რა დროს და როგორი ხანგრძლივობით გააშუქოს. ამგვარი მიდგომა მრავალფეროვანი მედიის ილუზიას ქმნის, თუმცა, იდეოლოგიზებული კატეგორიები და საზოგადოებაში არსებული „ღირებულებითი კონსენსუსი“ ძლიერ გავლენას ახდენს მედიის სტანდარტებზე, რაც მედიის „არჩევანს“, გააშუქოს, რაც სურს, ზღუდავს და ხშირად არჩევანი არ ნიშნავს, რომ ის არ არის განპირობებული კონტექსტით.

სტიუარტ ჰოლის თანახმად, მედიაში გაშუქებული ამბავი ატარებს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის ნიღაბს, მაშინ როცა, იგივე ამბავი სხვადასხვა სპეციალისტის ან ექსპერტების ანგარიშებში შეიძლება შეუმჩნეველიც დარჩეს. შესაბამისად, მედიას აქვს რეალობის დადასტურებისა და ამბისთვის ვალიდურობის მინიჭების ძალაუფლება. კონკრეტულ შემთხვევაზე მედიადისკურსის კონცენტრირებული ყურადღება ამბისთვის იყენებს დღის წესრიგის შედგენისა და საზოგადოებრივი ინტერესის ცნებას. ჰოლს მიაჩნია, რომ დღის წესრიგის შექმნა და საჯარო იდიომების გამოყენება გამომდინარეობს ყოველდღიური კომუნიკაციის „შეთანხმებული ღირებულებებიდან“.

ჰოლის მიხედვით, ყოველდღიური ენა გაჯერებულია დომინანტური დასკვნებითა და ინტერპრეტაციებით, რომელთა მეშვეობითაც ფორმალური, ოფიციალური ტერმინები და დისკურსები ითარგმნება ყოველდღიური დიალოგების ენაზე. მიუხედავად ამგვარი ძალაუფლებისა, რომ ერთი და იმავე ენით თარგმნოს საკითხები, მედიის მიერ დისკურსების წარმოება არც ისე ავტონომიურია და ეფუძნება კონკრეტული ამბის ან საკითხის კავშირს სტერეოტიპებთან და ისეთ ფართოდ გავრცელებულ ღირებულებებთან, როგორიცაა უსაფრთხოება და სამართლიანობა.

მასმედიაში ამბავი პოპულარული დისკურსის მიხედვით გად-
მოიცემა. სტიუარტ ჰოლი მას გაბატონებულ კულტურულ წესრიგსაც
უწოდებს, რომელშიც აქტიურად მიმდინარეობს მნიშვნელობების
წარმოება და ამ პოპულარული, დომინანტური მნიშვნელობების
მიხედვით აიხსნება საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები. დომი-
ნანტური მნიშვნელობები იმეორებს გაბატონებული დისკურსისა თუ
პოზიციის შეხედულებებს, ხოლო მედიის მეშვეობით მისი ლეგიტი-
მაციისა და ნორმის შესაბამისად ბუნებრივის ელფერს მატებს მათ.
ჰოლის თანახმად, მასმედიას ასეთ შემთხვევაში საზოგადოებრივი
კონსენსუსის მიღწევისა და გავრცელების როლი აქვს, რაც მას აქცევს
გაბატონებული იდეოლოგიის კვლავწარმოების იარაღად.

მასმედიის გავლენებსა და როლზე საუბრისას, საინფორმაციო
გამოშვებების გარდა, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გართობის ინ-
დუსტრიაც. დევიდ მორლი წიგნში „მედია, მოდერნულობა და ტექ-
ნოლოგია“ საუბრობს გართობის მედიის მნიშვნელობაზე, რომელიც
ეხმიანება საზოგადოებაში არსებული წარმოდგენების სტიმულირე-
ბას ერთი შეხედვით არასერიოზული გართობის ინსტრუმენტების
მეშვეობით. ასეთი მიდგომა სოციალური რეალობის განსაზღვრის
საკითხში დიდ როლს ასრულებს და შესაბამისად, ემსახურება გაბა-
ტონებული იდეოლოგიის ნატურალიზაციას, ანუ მის ნორმად დამკ-
ვიდრებას.

მედიადისკურსი სოციალურ საკითხთა კვლევის პროცესში ერთ-
ერთი მთავარი კომპონენტია, ვინაიდან სწორედ მედიის მეშვეობით
ხდება იმ შეხედულებების წარმოება და გავრცელება, რაც შემდეგ
გვევლინება, როგორც საზოგადოებრივი აზრი ან უმრავლესობის შე-
ხედულებები, განწყობები.

საჯარო დისკურსზე წვდომას უკავშირებენ ტექსტებსა და კონტექს-
ტზე გავლენასა და კონტროლს, რაც უმეტესად „სიმბოლური ელიტე-
ბის“ (პოლიტიკოსების, მწერლების, ჟურნალისტების) პრივილეგიაა
(თუნ ვან დაიკი; 1943). ჟურნალისტები გამორჩეულ როლს ასრულებ-

ბენ დისკურსის წარმოებისა და საჯარო აზრის ჩამოყალიბების პროცესში, რადგან ხშირად მათ გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული, ვინ ილაპარაკებს მედიაში, სად, რამდენ ხანს, რა ფორმით, ვისთან ერთად და ა.შ. შესაბამისად, ის, ვინც აკონტროლებს ტექსტს, აკონტროლებს ასევე დისკურსს და პირიქით. მედია გავლენას ახდენს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე იმ ინფორმაციის გავრცელებითა და მიწოდების ფორმით, რომელსაც ის ირჩევს. „ტრადიციულ“ ჟურნალისტიკაში გავრცელებული ბალანსის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის ცნება არ გამორიცხავს იმას, რომ მედია თანაბარი ყურადღებით ან ადეკვატურად აშუქებს უმცირესობათა საკითხებს. ჯერ კიდევ 1997 წელს¹⁸ ევროპის საბჭომ ოფიციალურად აღიარა თავის რეკომენდაციებში უმცირესობათა და მრავალფეროვანი საზოგადოების შესახებ, რომ მედიას შეუძლია შეუწყნარებლობასთან ბრძოლაში პოზიტიური წვლილის შეტანა ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულად განსხვავებულ ჯგუფებთან დაკავშირებით.

ტექსტის თემატური ნაწილი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს დისკურსზე და ის უმეტესად გამოხატულია სათაურში, შესაბამისად, მომხმარებელი მას ყველაზე ადვილად იმახსოვრებს (თუნ ვან დაიკი; 2010). ის, ვინც აკონტროლებს საჯარო დისკურსს, პირდაპირ თუ ირიბად აკონტროლებს იმას, თუ რას ფიქრობს, რაზე ლაპარაკობს ადამიანი. გარდა ამისა, ლოკალურ დისკურსზე დიდ გავლენას ახდენს გლობალური ტექსტები და ნარატივები, თუმცა, მათი გავება შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, სადაც მნიშვნელოვანია ის ტერმინები, რასაც მედიადისკურსები იყენებენ მოვლენების თუ ადამიანების აღსაწერად. გავრცელებული მედიადისკურსი არის „ჩვენ-სხვები“ დიქტომია, სადაც „ჩვენების“ მიერ ჩადენილი დანაშაული შეიძლება გამოცხადდეს,

¹⁸ ევროპის საბჭოს რეკომენდაციები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.coe.int/t/dg4/anti-discrimination-campaign/ressources/Training_toolbox/Media_Diversity_next_steps_en.pdf, ბოლო ნახვა: [20.06.2017].

როგორც აჯანყება ან თავისუფლებისთვის ბრძოლა, ხოლო „სხვე-ბის“ მიერ ჩადენილი დანაშაული განისაზღვროს მათი დემოგრაფიული მახასიათებლებით (რასა, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობა). „ჩვენ-სხვების“ დიქტომიაში „ჩვენი“ ყოველთვის ამსუბუქებს ნებისმიერ დისკრიმინაციას პოპულარული დისკურსის, საზოგადოებრივი აზრის ან უმრავლესობის სახელით და შესაბამისად, შეიძლება უფრო მისაღებიც და დემოკრატიულიც ჩანდეს.

მედიის საკითხი არ გახდებოდა კვლევის საგანი, რომ არა მისი ძლიერი გავლენა საზოგადოებრივ დისკურსზე. ცხადია, მედია პირდაპირ ვერ ახდენს გავლენას ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბებაზე, რადგან სანამ მედიის მოხმარებას დაიწყებენ, ადამიანებს უკვე აქვთ ღირებულებები და ამის შესაბამისად კითხულობენ სიახლეებსა თუ მედიაში გამოქვეყნებულ ამბებს. ინფორმაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე, თუმცა, ცოდნის გარდა, არსებობს წარმოდგენები სამყაროსა და მასში მიმდინარე მოვლენებზე. თუ საკითხებისადმი ეს ხედვები, ფაქტობრივი ცოდნის მიუხედავად, ფართოდ გაზიარებულია, მათ დამოკიდებულებებს უწოდებენ, შესაბამისად, სიმბოლური ელიტები არ საჭიროებენ ყოველ „მოვლენაზე“ ახალი დისკურსის შექმნას, ისინი ხელმძღვანელობენ ზოგადი და ფართო ღირებულებებით, რომლებიც განსაზღვრავს შემდეგ მცირე შემთხვევებს, ყოველდღიურ მოვლენებსა და მათთან დამოკიდებულებას. ამგვარ მიდგომას ეწოდება იდეოლოგია, რომელიც კონკრეტული ღირებულებების გამოყენებით აწესებს კომუნიკაციის წინასწარგანსაზღვრულ მოდელებსა და შაბლონურ დამოკიდებულებებს. იდეოლოგიისა და სიმბოლური ელიტების გავლენა ყოველთვის ნეგატიურად ვერ შეფასდება, რადგან იდეოლოგიური დისკურსის მიზანი შეიძლება საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარეობდეს, მაგალითად, სუფთა წყალი, რაც ყველა მოქალაქის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. სწორედ ასეთ დროს ჩნდება იდეოლოგიისა

და ზოგადი ღირებულებების ლეგიტიმაციის საკითხი. რომელი უფრო ლეგიტიმურია და რატომ? საკითხი აქაც რაოდენობრივ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის დიქტომიას ავლენს და, ძირითადად, რაოდენობრივი უმრავლესობის სასარგებლოდ იხრება.

თავად მედიის შესახებ ცალკეული კვლევები ძნელად მოიპოვება ქართულ რეალობაში და მეორე საკითხს წარმოადგენს საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის სწრაფი ცვალებადობა, რის გამოც ამ სფეროში ჩატარებული კვლევები სწრაფად ძველდება, არარელევანტური ხდება. შესაბამისად, რომელიმე საკითხის გარშემო მედიადისკურსის გამოვლენა კონკრეტულ კვლევას დაეკისრება ხოლმე, რაც, თავის მხრივ, მედიის შესახებ ცოდნას, წარმოდგენას თუ მის მდგომარეობას ფრაგმენტულსა და კონტექსტისგან განწყენებულად წარმოაჩენს. ზოგადად, ინფორმაცია ქართული მედიის ნაირგვარობის, მისი ბუნების, დროში განვითარების, ტენდენციებისა და მახასიათებლების, მასზე გავლენის მომხდენი ფაქტორების შესახებ არ არის ერთიანი და ხელმისაწვდომი. შესაბამისად, მედიადისკურსი და მისი პოპულარული სახეობების კვლევა მოიცავს კონკრეტულ საკითხს და ითვალისწინებს კონკრეტული კვლევის კონტექსტს.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ქართული პოპულარული მედიადისკურსი მიმოიხილავს იმ ზოგად და ფართოდ გავრცელებულ შეხედულებებს, რაც ერთი შეხედვითა და ზედაპირული თუ შეუიარაღებელი თვალისთვის არის შესამჩნევი.

მედიაში რეგულაციები უმეტესად მიმართულია თვითრეგულაციამდე და ის არ ეხება მედიის შინაარსობრივ ნაწილს, ხოლო ჟურნალისტების საქმიანობას კონტროლს უწევს ეთიკური და ჟურნალისტური სტანდარტები. კერძოდ, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც ეფუძნება 11 პრინციპს, და საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ ჩანაწერი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უმცირესობების მონაწილეობით პროგრამების წარმოება.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული მედიაექსპერტების მოსაზრებით, ამგვარი მიდგომა გათვლილია გრძელვადიან პერსპექტივაზე და მიზნად ისახავს მედიების არა გარედან რეგულირებას, არამედ ეთიკური პრინციპების შიდარეგულაციებზე აგებას, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალისტების მიერ უმცირესობათა საკითხების გაშუქებისას მგრძობელობის გაძლიერებასა და შესაბამისად, ჟურნალისტური სტანდარტის ამაღლებას, რაც, თავის მხრივ, დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენ უნდა იყოს მიმართული. ამგვარი მიდგომის მიზანი მედიის კონტროლისა და მისი ცენზურის თავიდან არიდებაა.

თემატიკა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის¹⁹ (2011) მიხედვით, ტელევიზია ინფორმაციის მისაღებად საქართველოს მოსახლეობისთვის პირველწყაროს წარმოადგენს – თბილისში 80%, რეგიონებში – 90%-ზე მეტი, ხოლო სახალგაზრდებში ინტერნეტი ასრულებს ამ როლს და ინტერნეტის მოხმარების მაჩვენებელი მზარდი მონაცემია. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2017 წელს გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 76% პირველად წყაროდ პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ტელევიზიას ასახელებს, ხოლო 16% ინტერნეტს, დანარჩენი კი მეზობლებს, ჟურნალ-გაზეთებსა და მეგობრებს, ხოლო არაქართულენოვან არხებში რუსული ტელევიზიები ლიდერობენ. ტელევიზიის შემთხვევაში უმცირესობათა საკითხების გაშუქება უკავშირდება კონკრეტულ მოვლენებს და მათი გაშუქების ტონი ცვალებადია კონტექსტის მიხედვით. მაგალითად, საინფორმაციო გამოშვებებში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენ-

¹⁹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევა, „საქართველოს სარეკლამო ბაზარი“, 2016, ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/PF6nMx>, ბოლო ნახვა: [21.06.2017].

ლების საკითხები ხშირად გადაფარავს ერთმანეთს და ტელევიზიები მათ აშუქებენ რაიმე სახის დანაშაულის ან კონფლიქტის კონტექსტში, ხოლო ღვბტ თემის საკითხი ინარჩუნებს ეგზოტიკურობის ნიშას და ეს ორივე ტენდენცია ერთიანდება სტიუარტ ჰოლის მიერ გამოკვეთილ მსოფლიო მედიადისკურსში სკანდალურობისა და სექსუალურობის შესახებ.

გასართობი გადაცემების კონტექსტი კიდევ უფრო დაცლილია სტანდარტების ან ჟურნალისტური ეთიკისგან და მთლიანად აგებულია იმ „კონსენსუალურ შეთანხმებებზე“, რასაც ჰოლი საჯარო იდიომას უწოდებს. ქართულ კონტექსტში გასართობ (ყვითელი) გადაცემებში გამოყენებული სიძულვილის ენა გამართლებულია და ახსნილია საზოგადოებაში არსებული განწყობებით, რითაც მედია მთლიანად ირიდებს პასუხისმგებლობას, შეხედოს ამბებს არა როგორც „ნიუსებს“, არამედ როგორც ამბებს ადამიანების შესახებ. ასეთი შემთხვევები მთლიანად არის დეჰუმანიზებული საზოგადოებრივი განწყობებისა და რეალობის სახელით, რომელსაც ისევ მედია ადგენს სტანდარტად, გაბატონებულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დისკურსთან ერთად.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი მედიაექსპერტის დაკვირვებით, სატელევიზიო დროს ხშირად იკავებენ პოლიტიკური თუ კულტურული ელიტის წევრები, იშვიათი გამონაკლისები, სადაც რიგითი მოქალაქე შეიძლება მოხვდეს ტელევიზიაში, უკავშირდება იმ სოციალურ „ფილტრებს“, რასაც ტელევიზია, დისკურსი და იდეოლოგია ერთიანად ემსახურება. ამგვარი ფილტრი შეიძლება იყოს სკანდალი, დანაშაული, სექსუალურობა და ა.შ. თუმცა, სატელევიზიო სივრცეში პერიოდულად მაინც არსებობს გადაცემები, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება სკანდალზე ორიენტაციისა და ეგზოტიზაციისგან, მაგრამ მათი რეიტინგი, როგორც წესი, სხვა გადაცემებთან შედარებით დაბალია.

ბეტდური მედია

ბეტდური მედიის დისკურსის შესახებ, ისევე, როგორც ზოგადად, მედიის შესახებ, ერთიანი კვლევა არ არის ხელმისაწვდომი, ამიტომ სირთულეს წარმოადგენს მეთოდოლოგიურად დამუშავებულ მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნების გამოტანა. მედიაექსპერტების ზოგადი დაკვირვებით კი საქართველოში ბეტდური მედიების უმრავლესობამ, სხვა სახის მედიებთან შედარებით, კონსერვატიული ნიშა დაიკავა²⁰ და შესაბამისად, უმცირესობათა საკითხების გაშუქებისას იყენებს ისეთ ენობრივ მახასიათებლებს, რომლებიც უმეტესად რელიგიურ²¹ კონტაქციებს ატარებს. უმცირესობათა საკითხები პოპულარულია, თუმცა, ნეგატიურ კონტექსტში.

ონლაინგამოცემები

ბეტდური მედია (პრესა) და ონლაინმედია შერწყმულია ერთმანეთთან და ტელევიზიასაც აქვს თავისი ვებგვერდი, რაც მთლიანად მედიას აქცევს ინტერნეტსივრცეში და შესაბამისად, მხოლოდ ტექნიკური მახასიათებლების საფუძველზე შეუძლებელია მედიათა შინაარსობრივი განსხვავება. მიუხედავად ამისა, ცალკეული პოპულარული ონლაინგამოცემები შეიძლება დახასიათდეს, როგორც უმცირესობათა საკითხების მიმართ ლოიალურად განწყობილი, რაც გამოიხატება მათ ენობრივ დისკურსსა ან რესპონდენტების შერჩევის საკითხში. საკითხისა და შესაბამისი რესპონდენტის შერჩევა,

²⁰ ინტერვიუ მედიაექსპერტთან.

²¹ საქართველოს საპატრიარქოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული პუბლიკაცია, „ჰომოსექსუალიზმი (სოდომია) – უმძიმესი ცოდვა“, ხელმისაწვდომია: http://www.orthodoxy.ge/tsodva_satnoeba/homosequsalizmi.htm, ბოლო ნახვა: [23.06.2017].

როგორც ონლაინ და ბეჭდური, ისე სატელევიზიო მედიისთვის რჩება მთავარ მახასიათებლად საკითხის გაშუქებისას.

მედიის განვითარების ფონდის (MDF) 2014–2015 წლის კვლევის „სიძულვილის ენა და ქსენოფობია“²² მიხედვით, ქსენოფობიური ან სიძულვილის ენის გამოხატვის შემთხვევებით თავად მედია ლიდერობს (35%), ხოლო დანარჩენი პროცენტები სხვადასხვა რესპონდენტზე, პოლიტიკოსებსა და სამღვდელოებაზე ნაწილდება. ამავე კვლევის მიხედვით, ქსენოფობიის 436 შემთხვევიდან ყველაზე მეტი, 154 შემთხვევა, ისევ მედიაზე მოდის, სადაც ეთნიკური ჯგუფების მიმართ შეუწყნარებლობა და თურქოფობია/ისლამოფობია ყველაზე გავრცელებული ფორმაა. რელიგიური დისკრიმინაცია და არმენოფობიული გამოხატვა ასევე პოპულარულია კვლევის თანახმად. აღნიშნული კვლევა ასევე აჩვენებს, რომ ქსენოფობიური განცხადებები მიწის გაყიდვის საკითხს უკავშირდება და ამ თემაში ვლინდება აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი ნეგატიური განწყობები.

მედიის განვითარების ფონდის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, „სიძულვილის ენა“²³ 868 დისკრიმინაციული კომენტარიდან 52% ჰომოფობიაზე მოდის, 17% – თურქოფობიაზე, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციაზე – 8%, ქსენოფობიაზე – 8%, კონკრეტულად არმენოფობიაზე – 3%, რასიზმზე – 2%.

2011 წელს გამოქვეყნებული კვლევის – „სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა მედიაში“²⁴ – მიხედვით, მედიაში სექსუალური უმცირესობებისადმი მიძღვნილ სტატიებსა თუ გამოშვებებში ორი ძირითადი

²² კვლევა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/19/file/Hate%20Speech_2015_GEO_web.pdf, ბოლო ნახვა: [23.06.2017].

²³ კვლევა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate_Speech_GEO_\(1\).pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate_Speech_GEO_(1).pdf), ბოლო ნახვა: [22.06.2017].

²⁴ კვლევა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://minority.ge/wp_content/uploads/2012/03/Seqsualur_orientaciastan_da_genderul_identobastan_dakavshirebuli_sakitxebis_gashuqeba_mediashi_november_2011.pdf, ბოლო ნახვა: [26.06.2017].

მიდგომა იკვეთება: (1) ტერმინოლოგიური აღრევა, რაც ამ კვლევის მიხედვით, გამოიხატება ახალი ტერმინოლოგიის ენაში დამკვიდრების სირთულით; (2) ჟურნალისტების მიერ რესპონდენტების შერჩევის კრიტერიუმი, შესაძლოა, სწორედ სექსუალურ უმცირესობათა მიმართ გამოკვეთილი სიძულვილის ენა იყოს. 2011 წელს გამოქვეყნებული ეს კვლევა ასკვნის, რომ მედიაში მდგომარეობა უმჯობესდება, რაც ლგბტ თემის წევრებისთვის გამოხატვის შესაძლებლობითა და მედიაში ადგილის/დროის დათმობაში გამოიხატება.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ მედიის მიერ ხდება უმცირესობათა საკითხის ეგზოტიზაცია, განსაკუთრებით რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობათა გაშუქებისას, ხოლო ეთნიკური უმცირესობების ან რასობრივი ნიშნით გამოკვეთილი თემები შედარებით მსუბუქად ვლინდება მედიაში, ან დაკავშირებულია დანაშაულსა და ნეგატიურ ამბავთან.

საინფორმაციო განწყობები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში სტუდენტებთან ინტერვიუების დროს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობამ ენობრივი იერარქიულობა და ლინგვისტური დაბრკოლებები გამოავლინა. კერძოდ, კვლევაში მონაწილე ყველა ქალაქში ჩატარებულმა ჯგუფურმა დისკუსიებმა გამოავლინა საინფორმაციო ენის იერარქიულობა, რაც გამოიხატება მეზობელი ქვეყნების სატელევიზიო-საინფორმაციო გადაცემების აქტიურ მოხმარებაში, განსაკუთრებით, უფროსი თაობის მიერ, რაც აიხსნება რუსული ენის ცოდნითა და რეგიონებში ქართული არხების დაფარვის შეზღუდულობით. უფროსი თაობის ადამიანებისთვის ტელევიზია მთავარ საინფორმაციო წყაროდ რჩება, ხოლო რუსული, სომხური თუ აზერბაიჯანული ენის უკეთესად ცოდნისა და გადაცემების შინაარსობრივი დაინტერესების გამო უფროსი თაობის ადამიანებში არსებობს ტენდენცია მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო გამოშვებებსა თუ გასართობ გადაცემებზე დამოკიდებულებისა, რაც მათ სრულიად სხვა საინფორმაციო ველში ამყოფებს. გარდა ამისა, სტუდენტების ნარატივებიდან იკვეთება განწყობა, რომ ქართულენოვანი საინფორმაციო თუ გასართობი გადაცემები რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ყოფას ნაკლებად ეხმიანება და ორიენტირებულია ცენტრის – თბილისის მოსახლეობაზე, ხოლო ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობათა საკითხები ნაჩვენებია მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში და ის შუქდება დანაშაულის, კონფლიქტის ან დაპირისპირების შემთხვევაში:

„გეტყვი, როგორ არის, მაგთისატი ვისაც უდგას, იმასთან აჩვენებს და დანარჩენებზე – არა“.

„ამინდის პროგნოზსაც ბორჯომამდე მოდიან და მერე ახალციხეზე აღარ აგრძელებენ“.

„მამაჩემი ქართულად უყურებს ყველა არხს, პაპაჩემი რუსულად, ვესტი და პირველი არხი (პერვი)...“

„ტელევიზიით არ გადასცემენ რეგიონულ ამბებს“.

„მამაჩემი უცხოურ საინფორმაციოებს უყურებს, ძირითადად, რუსულად, იმიტომ, რომ ენა უკეთესად იცის“.

„ნდობის საკითხია, რომელიმე ტელევიზიას აბსოლუტურ ნდობას ვერ გამოუცხადებ და ვერც სოციალურ მედიებს. მირჩევნია, რამდენიმე წყარო გადავამოწმო“.

სახელმწიფო ენის საკითხი მნიშვნელობას იძენს უფროსი თაობის ადამიანებში არა მხოლოდ საინფორმაციო კონტექსტში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებასა და დასაქმების პროცესში. მათ საკომუნიკაციო ენას დღემდე რუსული წარმოადგენს, „საშინაო“ ენად ეთნიკური უმცირესობებისთვის საკუთარი ეთნოსის ენა რჩება, ხოლო საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთათვის ქართული ენა წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას.

საჯარო სივრცე, რომორც ტოლერანტობის ჩარჩო და ფლვანი

„თავიანთ საძინებლებში რაც უნდათ, ის აკეთონ, გარეთ ნუ გამოვლენ“ – ამგვარი ფორმულირება მიიღო ქართულ რეალობაში ტოლერანტობის ერთ-ერთმა ყველაზე გავრცელებულმა ფორმამ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ადამიანების მიმართ, რომელიც წინამდებარე კვლევაში სექსუალურ უმცირესობათა სახელით ან ლგბტ ჯგუფად აღინიშნება. საზღვრები, რომელთაც დომინანტი ჯგუფები უმცირესობათა თემებს უწესებენ, ხშირად საჯარო სივრცეზე გადის, რაც ასევე შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც სოციალური სივრცე. შემწყნარებლობა, როგორც წესი, მრავალფეროვნების კონცენტრირების ადგილას ვლინდება (ან არ ვლინდება) და არა საძინებლებსა ან პირად სივრცეებში. სწორედ საჯარო სივრცე, სოციალური გარემო და არაპრივატულობა სძენს ტოლერანტობას აზრს და არა რაიმე სივრცის კერძო ბუნება. საჯარო სივრცეების აღწერა კი, თავის მხრივ, შესაძლოა, იძლეოდეს ტოლერანტობის თანამედროვე დეფინიციასა და უმცირესობა-უმრავლესობის დიქტომიის ახლებურ გააზრებას.

თუმცა, გარდა ლგბტ თემისა, ნებისმიერი არადომინანტი ჯგუფისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონკრეტული, მისთვის მითითებული ზღვრის დაცვა, რათა დაიმსახუროს დომინანტი ჯგუფის შემწყნარებლობა. ამ მოცემულობის შენარჩუნების ერთადერთი ფორმა უმცირესობათა ჯგუფების უმრავლესობის, ანუ დომინანტი ჯგუფების დაქვემდებარებაში დარჩენაა. კერძოდ, ტოლერანტობის წინა პირობა საჯარო სივრცეში დაბალი რეპრეზენტაცია და ნაკლები აქტივობაა, რაც მიუთითებს იმ კონკრეტული საზოგადოების დახურულობასა და დაბალი სოციალური მობილულობის ხარისხზე, სადაც ამგვარი მდგომარეობა ნორმად მიიღება.

კოსტსაბჟოთა სივჩის სპეციფიკა საქართველოს მაგადითვა

ფიუ რისერჩის (Pew Research; 2017) კვლევა²⁵, რომელიც აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში რელიგიურ და ნაციონალურ მიკუთვნებულობას ეხება, საბჭოთა კავშირის დროს რელიგიური ცხოვრების წესის შეზღუდვითა და რელიგიათა მიმართ შეუწყნარებლობით ხსნის დღევანდელ მზარდ რელიგიურობას ამ რეგიონებში. კვლევა იყენებს რაოდენობრივ მახასიათებელს, რომლის მიხედვითაც, საქართველო ყველაზე რელიგიურად მიიჩნევა დასახელებულ ქვეყნებს შორის (მოსახლეობის 87% მიიჩნევს თავის ქვეყანას „ყველაზე რელიგიურად“, მას მოსდევს სომხეთი – 81%, მაშინ როცა, 1970-90-იან წლებში საქართველოს რელიგიურობის მაჩვენებელი 25% იყო), ხოლო ყველაზე ნაკლები რელიგიურობით ესტონეთი ხასიათდება (23%). კვლევის ავტორები ამგვარ მონაცემებს პოლიტიკური გეოგრაფიით ხსნიან, რომლის მიხედვითაც, მართლმადიდებელი ქვეყნების უმრავლესობა უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს და მათი უმეტესობა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო კათოლიკური ქვეყნები, რომლებიც, ფიუ რისერჩის კვლევის მიხედვით, დღეს ნაკლები რელიგიურობით ხასიათდებიან, უფრო დასავლეთით მდებარეობენ და საბჭოთა კავშირის გავლენაც ნაკლები ჰქონდათ.

კვლევის მიხედვით, მართლმადიდებელი მრევლით დომინირებულ ქვეყნებში, საშუალოდ, 70%-ს მიაჩნია, რომ კონკრეტული

²⁵ კვლევა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.pewforum.org/2017/05/10/religious_belief_and_national_belonging_in_central_and_eastern_europe/, ბოლო ნახვა: [23.06.2017].

ეროვნების „ჭეშმარიტი“ წარმომადგენელი რომ იყო, მაგალითად, „ნამდვილი ქართველი“, აუცილებელია იყო მართლმადიდებელი. ამ მოსაზრების რაოდენობრივი მაჩვენებელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველაზე მაღალია საქართველოსთვის – 81% და სომხეთისთვის – 82%. გარდა ამისა, კვლევის მიხედვით, ის ქვეყნები, სადაც მართლმადიდებლობა დომინანტი რელიგიაა, ადამიანების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი კულტურა აღმატებულია სხვა კულტურებთან შედარებით.

საქართველოში რელიგიის ასეთ დომინაციას სხვა იდენტობებზე ბევრი ფაქტორი შეიძლება განაპირობებდეს, მათ შორის: საბჭოთა ტოტალიტარული აზროვნების ინერცია, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ეთნონაციონალისტური რიტორიკის გაძლიერება, რომელსაც რელიგიური კონოტაციაც ჰქონდა; სეკულარობის დაცვის საპირისპიროდ, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთშეზრდა; წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ისეთი რელიგიური პოლიტიკის წარმოება, სადაც ერთ დომინანტ რელიგიურ ჯგუფს ენიჭება პრივილეგიები, ხოლო უმცირესობების უფლებების დაცვა მეორეხარისხოვანია; საქართველოს საპატრიარქოს მიერ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კაპიტალის დაგროვების ტენდენცია უფრო და უფრო იზრდება, მაშინ როცა სახელმწიფო ინსტიტუტები და სასამართლო სისტემა სათანადოდ ვერ გაძლიერდა; მართლმადიდებელი ეკლესიის პრორუსული ორიენტაცია, მის დისკურსში ანტილიბერალური, ანტიდასავლური განწყობების დომინაცია და „ერთმორწმუნეობის“ ნარატივი, რაც დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და პლურალიზმს ავტომატურად საფრთხეს, ეროვნული იდენტობის წაშლასა და ტრადიციების დავიწყებას უკავშირებს. როგორც ჩანს, რიცხობრივად პატარა ერებისთვის დამახასიათებელი „კულტურული თავდაცვის“ მექანიზმი, საგარეო და გეოპოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებით, უმცირესობების მიმართ სწორედ ამგვარ ანტაგონისტურ მიდგომებში ვლინდება.

ჩაბრუდი უმრავლესობა და ჩაბრუდი უმცირესობა

კვლევის ფარგლებში ჩატარებული დისკუსიების დროს რესპონდენტებში პოპულარული იყო მოსაზრება: „ჩვენ უფრო ვართ დაჩაგრულები, ვიდრე ისინი“. ამგვარ ფორმულირებაში სტუდენტები საკუთარ თავს უმრავლესობის პოზიციაზე მოიაზრებენ, სადაც „უფრო“ იჩაგრებიან, მიუხედავად იმისა, რომ დომინანტ ჯგუფს („ჩვენ“) წარმოადგენენ, ხოლო „ისინი“ არიან უმცირესობის წარმომადგენლები, ნაკლები სოციალური გავლენებითა და დაბალი ინტეგრაციით, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე იჩაგრებიან გარკვეულ უფლებათა თუ რესურსთა გამოყენების შესაძლებლობის უქონლობის გამო.

სტუდენტებთან დისკუსიებმა აჩვენა, რომ ე. წ. უმცირესობებისა და უმრავლესობის ჩაგრულობას თავისი ფორმები აქვს, რაც არსებულ უთანასწორობასა და სოციალურ ჯგუფებს შორის გათიშულობაზე, შესაბამისად, – სოციალური სტრატეფიკაციის ნიშნებზე, კერძოდ, უფლებების, პრივილეგიების, რესურსებისა და ძალაუფლების არათანასწორ გადანაწილებაზე მეტყველებს და უფრო მეტიც, უამრავი ჯგუფი ამ გადანაწილებისგან მთლიანად არის გათიშული მათი კულტურული, ეკონომიკური თუ სოციალური მახასიათებლების გამო, რაც სოციალური მობილობისა და ღია საზოგადოების, დემოკრატიისა და სამოქალაქო ჩართულობის განხორციელების დაბალ შესაძლებლობებსა და მზარდ უთანასწორობაზე მიუთითებს.

21-ე საუკუნეში საზოგადოებებზე ზედაპირული დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე გამოკვეთილი მახასიათებელი მათი ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის იდენტობების მრავალფეროვნების ზრდაა. მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები და ინფორმაციული ინდუსტრია ამ განსხვავებათა მთავარი მკვებავია. საზოგადოებრივი კომპოზიციის მრავალფეროვნებისა და მათი განსხვავებების, მათში არსებული უმცირესობათა ჯგუფების ბრძოლა დემოკრატიული ქვეყნებისა და მოდერნული საზოგადოებისთვის ღირებულებად ითვლება. ეთნიკური, რელიგიური და სხვა სახის მცირე ჯგუფების სიმრავლე ამცირებს საზოგადოებაში ერთიან სოლიდარობას და სოციალური კაპიტალის დანაწევრებულ, ფრაგმენტულ ფორმებს წარმოშობს. მცირე ჯგუფების იდენტობები, შესაძლოა, წინააღმდეგობრივი იყოს და ეს კონფლიქტის წყარო გახდეს, რომლის დაძლევა უფრო ფართო, მრავლისმომცველი და საყოველთაო იდენტობით იქნება შესაძლებელი, რაც ადამიანის უფლებების, ადამიანთა თანასწორობის იდეაში ვლინდება. ასეთ ფორმულირებაში მცირე ჯგუფების წევრები ადგილად იპოვიან თვითგამოხატვას, მიკუთვნებულობისა და უსაფრთხოების შეგრძნებას. ამგვარი ფართო იდენტობა გაზრდის სოციალურ კაპიტალს და პოზიტიური ეფექტით მოახდენს გავლენას თავის წევრებზე.

ტოლერანტობა, განსხვავებულის მიმღებლობა და იდენტობათა საკითხი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ერთიანობის კონტექსტში კიდევ უფრო აქტუალური ხდება იმ განსხვავებათა წინ წამოწე-

ვის ფონზე, რასაც დღეს თანამედროვე საზოგადოებები, მათ შორის _ ქართველიც, იზიარებს. შესაბამისად, საყურადღებოა განსხვავებათა მნიშვნელობის, მათი გავლენების გააზრება და გამოყენება, როგორც რესურსის და არა როგორც საშიშის, „მტრის“, რომელიც უნდა დაითმინო და „გაუძლო“. ამგვარ მიდგომათა გასააზრებლად და აღმოსაფხვრელად, განათლების სისტემისა და მედიის როლი ძალიან დიდია. ქართულ კონტექსტში მართლმადიდებელი ეკლესიის დომინაციის (მოსახლეობის 80% მართლმადიდებელი ქრისტიანი; საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო დაფინანსება ყოველწლიურად 30 მლნ-მდე ლარი) ფონზე²⁶, მხოლოდ რელიგიურ, გენდერულ მიკუთვნებულობაზე ან ეთნიკურ ჯგუფებზე აგებული იდენტობა მოუქნელს ხდის სახელმწიფოსა და საზოგადოებას, იყოს ერთიანი და სოლიდარული, რაც ამ განსხვავებებს სწორედ რომ ნეგატიურ კონოტაციებს სძენს და ისინი დანახული არის, როგორც საფრთხე, „მტრული იდენტობები“. შესაბამისად, დაძაბულობა და მიუღებლობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. ცხადია, ასეთ დროს კონტექსტი დიდ როლს ასრულებს და ყველანაირი იდენტობა, რომელიც არ არის ქართულ ეთნიკურობასა და ნაციონალიზმზე, მართლმადიდებლობაზე აგებული, „საპირისპირო“ მნიშვნელობას იძენს და „გარედან“ შემოტანილად ითვლება, რაც ამძაფრებს გარე სამყაროს, მასში მიმდინარე მოვლენების აღქმასა და მშვიდობიან, თანასწორუფლებიან თანაცხოვრებას.

²⁶ იხ. „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ (TDI) და „ადამიანის უფლებებისა და სწავლების მონიტორინგის“ (EMC) ერთობლივი კვლევა, „რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა, 2014-2015 წლების პრაქტიკის ანალიზი“, 2016, ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/j9oFhj>. ბოლო ნახვა: [26.06.2017].

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა უმცირესობათა ჯგუფების მიმართ სტუდენტური ნარატივის გამოკვეთასა და მედიის როლის ანალიზს მისი ჩამოყალიბების პროცესში. კვლევაში მონაწილე სტუდენტებში გამოიკვეთა არასაკმარისი, არასანდო ინფორმაციისა და მცდარი ფაქტების გამოყენების პრაქტიკა, რასაც შემდეგში ეფუძნებოდა მათი მსჯელობა, შეხედულებები და დამოკიდებულებები.

კვლევაში მოცემული ძირითადი მიგნებების საფუძველზე შესაბამისმა უწყებებმა სასურველია, გაითვალისწინონ შემდეგი რეკომენდაციები:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- მასწავლებელთა გადამზადების პროგრამაში გაძლიერდეს ინტერკონფესიური და ინტერკულტურული კომპონენტი;
- მასწავლებელთა კომპეტენციის შემოწმებისას (სასერტიფიკაციო გამოცდები) შეფასდეს ტოლერანტობის კუთხით მასწავლებელთა განწყობები;
- სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიდეს რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის კულტურის ამსახველი ისტორიული მოვლენები, სამოქალაქო ფასეულობები და ლიტერატურული ტექსტები;
- სახელმძღვანელოების გრიფირების წესში აისახოს მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, სახელმძღვანელოს შინაარსი უნდა ითვალისწინებდეს ტოლერანტობის პრინციპებს, სრულფასოვნად

ასახავდეს მრავალფეროვნებას და ეთნიკურად თუ რელიგიურად ნეიტრალური, აკადემიური ენით აღწერდეს მოვლენებს;

- ადამიანის უფლებების, ტოლერანტობის, რელიგიურ-ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ მოსწავლეების ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები პერიოდულად და სისტემურად ჩატარდეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

- სტუდენტების მობილობის გაზრდისა და კულტურულ აქტივობებში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყონ სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესება, ხელმისაწვდომობა და საბარათე სისტემაზე გადაყვანა, რათა სტუდენტებმა შეძლონ სტუდენტური შეღავათით სარგებლობა (მსგავსი შეღავათები მოქმედებს დედაქალაქში არსებული უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის).

მედიას

- რელიგიურ/ეთნიკურ უმცირესობებთან, ლგბტ საკითხებთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას ჟურნალისტები უნდა ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას, ჰქონდეთ მაღალი მგრძობელობა აღნიშნული საკითხების მიმართ, თავს არიდებდნენ პოლიტიკურ მანიპულაციას, უმცირესობათა ჯგუფების ასოცირებას კონფლიქტურ სიტუაციებსა და დანაშაულთან;
- მედიამ თავი უნდა შეიკავოს უმცირესობათა მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებისა და გაშუქებისგან; რესპონდენტების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში, კრიტიკულად შეაფასოს, გამოკვეთოს საკითხის პრობლემურობა, გამიჯნოს ერთმანეთისგან ფაქტი და კომენტარი;
- რელიგიური, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენით ხელი შეუწყოს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების, ფობიებისა და შეუწყნარებლობის შემცირებას.

განმარტებელი ღიშინაშური

1. Anon, (n.d.). [online] Available at: https://serendip.brynmawr.edu/oneworld/system/files/annurev.psych_49.1.65-2.pdf [Accessed 26 Jun. 2017].
2. Diversity Officer Magazine. (2017). Historically Excluded Group. [online] Available at: <http://diversityofficermagazine.com/cultural-competence/diversitypedia/heg/> [Accessed 25 Jun. 2017].
3. Diversity.ge. (2017). Diversity.ge | National Integration and Tolerance in Georgia. [online] Available at: <http://www.diversity.ge/geo/resources.php?coi=0%7C13%7C13> [Accessed 25 Jun. 2017].
4. Encyclopedia Britannica. (2017). minority | sociology. [online] Available at: <https://www.britannica.com/topic/minority> [Accessed 25 Jun. 2017].
5. Encyclopedia of Race and Racism (VOLUME 1). (2017). [ebook] Available at: <http://webpages.uncc.edu/~jmarks/pubs/Enc%20race%20Sci%20Racism%20Hist.pdf> [Accessed 25 Jun. 2017].
6. Friedrich-Ebert Stiftung (FES) Georgian Office. (2017). Generation in Transition: Youth Study 2016 - Georgia. [online] Tbilisi. Available at: http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf [Accessed 25 Jun. 2017].
7. Hall, S. (2013). Policing the crisis. London: Palgrave Macmillan.
8. Hay, F. (2014). Race, culture, and history: Charles Wagley and the anthropology of the African Diaspora in the Americas. Boletim do Museu Paraense Emílio Goeldi. Ciências Humanas, 9(3), pp.695-705.
9. Institute for Policy Studies (2012). GENERATIONS AND VALUES. [online] Tbilisi. Available at: https://www.osgf.ge/files/publications/Taobebi_1.pdf [Accessed 25 Jun. 2017].

10. Lameva.barcelona.cat. (n.d.). Barcelona Metropolis | Teun A. van Dijk | Discourse, Power and Symbolic Elites. [online] Available at: <http://lameva.barcelona.cat/bc-nmetropolis/arxiu/en/page5f80.html?id=21&ui=337> [Accessed 25 Jun. 2017].
11. Measuring values for cross-cultural research. (n.d.). Nijmegen Center for Economics (NiCE) Institute for Management Research Radboud University Nijmegen.
12. Media Development Foundation (2015). Hate speech Xenophobia. [online] Tbilisi. Available at: <http://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/19/file/Hate%20Speech-2015-GEO-web.pdf> [Accessed 25 Jun. 2017].
13. Media Development Foundation (2016). Hate Speech. [online] Tbilisi. Available at: [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate_Speech_GEO_\(1\).pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/55/file/Hate_Speech_GEO_(1).pdf) [Accessed 25 Jun. 2017].
14. Media & Diversity: The next steps to promote minority access to the Media. (n.d.). [online] Available at: http://www.coe.int/t/dg4/anti-discrimination-campaign/resources/Training_toolbox/Media_Diversity_next_steps_en.pdf [Accessed 25 Jun. 2017].
15. Racial, Ethnic, and Minority Groups. (n.d.). [online] p.<http://www.everyculture.com/multi/Bu-Dr/Creoles.html>. Available at: <http://cnx.org/contents/Zb0wZRUI@3/Racial-Ethnic-and-Minority-Gro> [Accessed 25 Jun. 2017].
16. The National Population and Housing Census. 2014. (2016). [online] Tbilisi, Georgia: National Statistics Office of Georgia-GEOSTAT. Available at: http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf [Accessed 25 Jun. 2017].
17. Tolerance and Diversity Institute (TDI) (2014). The Needs of Religious Communities in Georgia. [online] Available at: http://tdi.ge/sites/default/files/religiuri-gaerti-anebebis-sachiroebelis-kvleva-sakartveloshi_0.pdf [Accessed 25 Jun. 2017].
18. Tolerance and Diversity Institute (TDI) (2016). Religious and ethnic diversity In school textbooks. [online] Available at: http://www.tdi.ge/sites/default/files/sax-elmgvaneloebis_analizi_tdi_2016.pdf [Accessed 25 Jun. 2017].
19. United Nations (2009). Message from Navi Pillay, UN High Commissioner for Human Rights. [online] Available at: http://www.un.org/en/events/humanrights-day/2009/hc_statement.shtml [Accessed 25 Jun. 2017].

20. ბოგვერაძე, მ. (2017), სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებულთა სამუშაო პირობებს შრომითი ინსპექცია სწავლობს | Netgazeti. [online] ნეტგაზეთი. Available at: <http://netgazeti.ge/news/134003/> [Accessed 25 Jun. 2017].
21. Orthodoxy.ge. (2017). ცოდვები და სათნოებები – ცოდვების შესახებ. [online] Available at: http://www.orthodoxy.ge/tsodva_satnoeba/homoseqszalizmi.htm [Accessed 25 Jun. 2017].
22. Pew Research Center’s Religion & Public Life Project. (2017). Religious Belief and National Belonging in Central and Eastern Europe. [online] Available at: <http://www.pewforum.org/2017/05/10/religious-belief-and-national-belonging-in-central-and-eastern-europe/> [Accessed 25 Jun. 2017].
23. Sexual orientation / gender identity Coverage in the media. (2011). [online] Available at: http://minority.ge/wp-content/uploads/2012/03/Seqszualur_orientaciastan_da_genderul_identobastan_dakavshirebuli_sakitxebis_gashuqeba_mediashi_november_2011.pdf [Accessed 25 Jun. 2017].
24. Transparency International Georgia, Advertising Market, 2016, Tbilisi – [online] <http://bit.ly/2rTt3lh> [Accessed 25 Jun. 2017].
25. Putnam, R. (2007). E pluribus unum. [Place of publication not identified]: Nordic Political Science Association.
26. The Parasocial Contact Hypothesis. (n.d.). In: The Parasocial Contact Hypothesis. [online] Available at: <http://cmw.mit.edu/wp/wp-content/uploads/2014/05/The-Parasocial-Contact-Hypothesis.pdf> [Accessed 26 Jun. 2017].